ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 2023 №255 (9291) ფასი: 80 თეთრი

ჩცდ-ს მსახიობს მანქანა დაუზიანეს

გვ.3

„სააკაშვილს ამბიცია აქვს, რომ მთელი ოპოზიციის ლიდერი თვითონ იყოს“

დავით ზურაბიშვილი: „ოცნება“ იყენებს სააკაშვილს, ის სარგებლობს ისეთი პრივილეგიებით, რომლითაც არ სარგებლობენ სხვები. არც ერთ სხვა პოლიტიკურ ლიდერს „ოცნება“ ამდენის უფლებას არ მისცემდა!“

გვ.2

„ლელო“ ყველაზე პრობლემური პარტიაა, რადგან იმაზე დიდი ამბიცია აქვთ, ვიდრე რეიტინგი“



გვ.3

„ამ ქვეყნის მონაპოვარია კანდიდატი ქვეყნის სტატუსი“

პეტრე მამრაძე: „ოპოზიციის ცრუ მოლოდინები საპნის ბუშტივით გასკდა“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ყველამ ერთად მივაღწიეთ ძალიან დიდ წარმატებას ამ წელს და ავიხდინეთ ერთი მთავარი ოცნება — ჩვენი ქვეყანა გახდა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა“

გვ.3

„გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მომავალი წელი რთული იქნება“

გვ.4

პუტინის მომავალი ლუკაშენკოსაც კი აეჭვებს?

ისტორიები

„შვილის ნაცვლად თავი მე მომკვეთეთ!“

რისთვის გაიღო ქრთამი გორგასალ ჩხეიძემ

გვ.5

როგორია ჩინეთის დამოკიდებულება უკრაინის ომის მიმართ?

1993230720223

4 ჯანდაცვის სამინისტრო: ფასის ზედა ზღვარი 5.148 მედიკამენტზე განისაზღვრა

6 რომის პაპი ღაზას მოსახლეობას იცავს

4 ახალი წლის ღამეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა გახანგრძლივდება

6 ბაიდენი: „ამერიკის ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორია“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სააკაშვილს ამბიცია აქვს, რომ მთელი ოპოზიციის ლიდერი თვითონ იყოს“

დავით ზურაბიშვილი: „ოცნება“ იყენებს სააკაშვილს, ის სარგებლობს ისეთი პრივილეგიებით, რომლითაც არ სარგებლობენ სხვები. არც ერთ სხვა პოლიტიკურ ლიდერს „ოცნება“ ამდენის უფლებას არ მისცემდა!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.

– ბატონო დავით, მიიწურა 2023 წელიც და საზოგადოება ნაც-ქოცების თემას ისევ ვერ გასცდა. დღეს ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ივანიშვილი კვლავ აპირებს პოლიტიკაში შემობრუნებას. „ოცნებას“ 30 დეკემბერს პოლიტსაბჭოს სხდომა აქვს ჩანიშნული. რას იტყვით თქვენ, რამდენად სჭირდება დღეს ივანიშვილს უკან შემობრუნება?

– თუ ივანიშვილის ინტერესებიდან გამოვალთ, რამდენადაც მე მას ვიცნობ, აბსოლუტურად გამორიცხულია, რომ მობრუნდეს. ის ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს, როდესაც კულისებიდან მართავს და ფორმალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება არაფერზე. არა მგონია, ამ კომფორტზე უარი თქვას. ძალიან ექსტრემალური სიტუაცია უნდა იყოს, რომ ამაზე დათანხმდეს. არანაირი მოლოდინი არ მაქვს, რომ ის შემობრუნდება პოლიტიკაში. თუ ის არ ჩათვლის, რომ ძალიან კრიზისშია მისი პარტია და ძალაუფლებას საფრთხე ემუქრება, ის სხვანაირად არ გადაწყვეტს ამას.

– არანაირი საფრთხე არც მის მმართველობას და არც „ოცნებას“ არ ემუქრება?

– კანდიდატის სტატუსის შემდეგ განსაკუთრებით, „ქართული ოცნების“ პოზიცია ცოტა უფრო უკეთესია, ვიდრე მანამდე იყო. თუ მანამდე არ უნდოდა მობრუნება, ახლა, მით უმეტეს, არ მობრუნდება.

– გუშინ ელჩების კონფერენცია იყო, თუმცა პრეზიდენტი არ მიიწვიეს. საბოლოოდ გარიყეს?

– ცხადია, გაბრაზებულია ბიძინა სალომე ზურაბიშვილზე. დანარჩენები კი აკეთებენ იმას, რაც ბიძინას უნდა. ეს ყველაფერი არ ჯდება არც დიპლომატიაში, არც ეთიკაში, არც პოლიტიკურში, მაგრამ დღეს ხელისუფლებაში ვინცაა, ყველამ ვიცით, რომ ამ ხალხს თავისი აზრი და შეხედულება პრაქტიკულად არ გააჩნია და მთლიანად ორიენტირებულია იმაზე, რა მოსწონს ბიძინა ივანიშვილს და რა არ მოსწონს და ამის მიხედვით ახორციელებს პოლიტიკას.

– ექსპერტთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მიზანმიმართულად უბიძგებენ სალომე ზურაბიშვილს, რომ ოპოზიციაში წავიდესო. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ? ბევრი ფიქრობს, რომ ახალი წლის მერე ბევრი რამ გამოიკვეთება. რა შანსები აქვს ოპოზიციას?

– თუ სალომე ზურაბიშვილი იქნება არანაცური ოპოზიციური ძალების შემკვრელი, გამაერთიანებელი და არა ლიდერი, ეს ძალიან კარგი იქნება. ამას მხოლოდ მივესალმები.

– უნდა დარჩეს პრეზიდენტად?

– დიახ. პრეზიდენტობიდან გადადგომა და ოპოზიციაში წასვლა, მას არაფერს არ მოუტანს. მისი გადადგომის შედეგი იქნება ის, რომ „ოცნება“ ამ პოსტზე აირჩევს ვიღაც თავისიანს. დავუშვათ, ირაკლი კობახიძეს დაგვისვამს პრეზიდენტად. ეს ინსტიტუციური ბერკეტი, რაც სალომეს აქვს, როგორ იგნორირებასაც არ უნდა ეწეოდეს მისას „ოცნება“, ის მაინც პრეზიდენტია. საზღვარგარეთ აფასებენ და როგორც პრეზიდენტს ისე ხვდებიან. მე არა მგონია, რომ სალომე გადადგეს. სხვა მხრივ თუ ის ჩაერთვება პოლიტიკაში, ისე, რომ თან არ გადადგება, ეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი იქნება. სალომე ზურაბიშვილი იმდენად-რთული ადამიანია, რომ ძალიან რთულია წინასწარ განსაზღვრო, რას გააკეთებს.

– ბატონო დავით, დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ ყველაზე კომფორტულად გრძნობს თავს ნაციონალური მოძრაობის პირისპირ, ამიტომ შუაშისტურ ძალებს არანაირ გასაქანს არ მისცემს. რამდენად შეძლებენ პატარა პარტიები წარმატების მიღწევას?

– ცალ-ცალკე ვერ შეძლებენ, რა თქმა უნდა. ერთიანად კი ვერ ერთიანდებიან. აქ მთელი რიგი სირთულეებია. სალომე ზურაბიშვილზე ამიტომ ვამბობ, რომ კარგი იქნება თუ ის იქნება გამაერთიანებელი-თქო. სჭირდებათ ვიღაც, ვინც ამ ძალებს გააერთიანებს. ყველაზე პრობლემური ამ მხრივ, არანაცურ ფლანგზე, დიდი გაერთიანების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ყველაზე პრობლემური პარტია არის „ლელო“.

– რატომ?

– „ლელო“ ყველაზე პრობლემურია, იმიტომ, რომ მათ აქვთ იმაზე დიდი ამბიცია, ვიდრე აქვთ რეიტინგი. საკმაოდ პატარაა მათი რეიტინგი და ამ ფონზე, აქვთ ამბიცია, რომ თვითონ იყვნენ ლიდერები.

– ფული აქვთ და ალბათ ამიტომ?

– დიახ, ფინანსურად შედარებით უკეთ არიან სხვებზე და ეტყობა მიაჩნიათ, რომ სხვები მათ გარშემო უნდა გაერთიანდნენ. თვითონ იყვნენ ლიდერები. სხვები ამაზე არ დათანხმდებიან მაინცდამაინც დიდი ხალისით, ამიტომ ასე არაფერი გამოვა. თუ მართლა დიდი გაერთიანება გვინდა და მართლა რეალური, აქ უნდა იყოს იგივე გახარიას გუნდი და სხვებიც. ყველანი ერთად უნდა იყვნენ, ვინც მკაფიოდ იქნება ნაცებისგან გამიჯნული. თუმცა, ნაცებისგან გამიჯვნას, გახარიას გარდა, ჯერჯერობით ვერავინ ვერ ახერხებს.

– გახარიას ნაციც უპირისპირდება და ქოციც და ანუ სწორ გზაზე დგას?

– უპირისპირდებიან იმიტომ, რომ სწორი აქცენტები აქვთ. იგივე ეს ბოლო თემა, რაც მათ წამოწიეს.

– სააკაშვილთან დაკავშირებით?

– დიახ, ყველა ხედავს, რომ სააკაშვილს იყენებს „ქართული ოცნება“. პრაქტიკულად, საავადმყოფოდან ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას და „ოცნება“ ამის საშუალებას აძლევს.

– ანუ „ოცნების“ ინტერესშია, რომ სააკაშვილი აქტიური იყოს?

– ბუნებრივია, ეს ახალი ხომ არ არის? სულ ასეა, რაც ბიძინა ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში. მთელმა კოალიციამ ბიძინას გადაულოცა ქვეყნის მართვა და იმ კაცმა დაჭლაგა ისე, როგორც თვითონ თვლიდა საჭიროდ. ის კი ალაგებს ასე: მისი ძალაუფლების ერთ-ერთი მთავარი წყაროა, შიში ნაცმოძრაობის მობრუნების.

– ბევრმა გააკრიტიკა გახარია ამ განცხადების გამო და თქვენ თვლით, რომ ეს სწორი აქცენტები იყო?

– აბსოლუტურად სწორია, რა თქმა უნდა. ამას რად უნდა ბევრი ლაპარაკი, რომ „ოცნება“ იყენებს სააკაშვილს, სააკაშვილი სარგებლობს ისეთი პრივილეგიებით, რომლითაც არ სარგებლობენ სხვები. არც ერთ სხვა პოლიტიკურ ლიდერს, „ოცნება“ ამდენის უფლებას არ მისცემდა! მე იმას კი არ ვამბობ, რომ გინდა თუ არა, ციხეში გადაიყვანონ, რეალურად ეს ექიმების გადასაწყვეტია, მაგრამ ჩვენ ხომ ვხედავთ, რომ მას პოლიტიკური საქმიანობის სერიოზულ უფლებას აძლევენ. ახლა აცხადებს, შეხვედრები შემიზღუდესო. თუ შედიოდა დღეში 30 კაცი, ახლა შედის ათი და ამაზეა ლაპარაკი. აბა სხვასთან შედით, შევა ვინმე ასე მარტივად?! „ოცნება“ ამას სპეციალურად აკეთებს. შეგნებულად ჰყავს ასეთ „ლაით“ რეჟიმში.

სააკაშვილსაც აქვს იმის ამბიცია, რომ არა მარტო ნაციონალური მოძრაობის, არამედ მთელი ოპოზიციის ლიდერი იყოს თვითონ. ამ წინასაარჩევნო პერიოდში, თუ მკაფიო და მკვეთრი გამიჯვნა არ იქნება სააკაშვილისგან, ამ გადაუწყვეტელი ამომრჩევლის თვალში, ყველა სააკაშვილს მიეწებება. ავტომატურად გადაიყვანს ნაცების მხარეს. ძალიან მკვეთრად თუ არ გაემიჯნე, სხვანაირად არ გამოვა, ვერ გაემიჯნები, შეგიწოვს!

ხატია დეკანოიძე: „მთავრობის სამოქმედო გეგმა არის ზედაპირული, ზერელე და ფასადური“

– ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე მთავრობის სამოქმედო გეგმა არის ზედაპირული, ძალიან ზერელე და ფასადური – მასში რეკომენდაციების შესრულების აუცილებელი მექანიზმები ჩადებული არ არის, – ასეთია ოპოზიციონერი დეპუტატის ხატია დეკანოიძის შეფასება.

როგორც დეკანოიძემ აღნიშნა, სამოქმედო გეგმაში ევროკომისიის ცხრავე დოფქმაზე მუშაობა უნდა იყოს ასახული, რაც სამწუხაროდ, ასახული არ არის.

– პირველ რიგში, ეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას ეხება. თავისუფალი არჩევნების კონტექსტში გამოტანილია მხოლოდ ის უსუსური და ფასადური ცვლილება, რომელიც იურიდიული პირების მიერ პარტიების დაფინანსების აკრძალვას ეხება. ასევე, აღნიშნულია სადამკვირვებლო მისიით ეუთო/ოდირის ჩამოსვლის შესახებ, რაც ყოველ არჩევნებზე ხორციელდება. ხელისუფლებამ ეს საზოგადოებას განსაკუთრებულ ცვლილებად არ უნდა შეასაღოს. იცით, საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებით არსებობს ვენეციის კომისიის ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რაც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული არ არის.

გარდა ამისა, სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის ანტიკორუფციული ბიუროს სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხთან დაკავშირებით ვენეციის კომისიას ძალიან სერიოზული ნეგატიური დასკვნები ჰქონდა და ესეც ასახული არ არის.

ასევე, პრაქტიკულად არაფერია ნათქვამი დემოკრატიის გაძლიერებასა და საგარეო პრიორიტეტების ევროკავშირის საგარეო პოლიტიკასთან თანხვედრაზე.

სამოქმედო გეგმის ეფექტურობა და შემდეგ უკვე შესრულებული სამუშაო გაიზომება იმით, რაც არის ისტორიული ეტაპი – ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დაწყება, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

შალვა პაპუაშვილი: „იმაზე უფრო მეტად უტიფარი წარმონაქმნი ქართულ პოლიტიკაში, როგორიც არის „ლელო“, არ არსებობს“

– „ლელო“, როგორც წარმონაქმნი, არის ცინიზმის პიკი, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა „ლელოს“ თავმჯდომარის, მამუკა ხაზარაძის განცხადებას, რომ „ლელო“ არის დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის რეალური ალტერნატივა და მათი მთავარი სტრატეგია იქნება, რომ ქვეყანა მიუერთდეს სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ.

მისი თქმით, ამაზე უფრო მეტად უტიფარი წარმონაქმნი ქართულ პოლიტიკაში, როგორიც არის „ლელო“, არ არსებობს.

– ადამიანები, რომლებიც იყვნენ კომკავშირის მდივნები, გველაპარაკებიან მოსკოვის მიუღებლობაზე, ადამიანები, რომლებიც კანონიერ, ძალაში შესული განაჩენით მხილებულნი არიან თაღლითობაში, გველაპარაკებიან კეთილსინდისიერებაზე, ადამიანები, რომლებიც იყვნენ ნაციონალური მოძრაობის რუპორები, გველაპარაკებიან „ნაციონალური მოძრაობის“ მიუღებლობაზე. ამაზე უფრო მეტად უტიფარი წარმონაქმნი ქართულ პოლიტიკაში, როგორიც არის „ლელო“, არ არსებობს.

რთულია, ამაზე რაიმე სერიოზული კომენტარის გაკეთება. ქართველმა ხალხმა უკვე ორ არჩევნებზე გასცა პასუხი, თუ რა არის მისი შეფასება „ლელოს“ საქმიანობის მიმართ. ეს არის მარგინალური ჯგუფი, რომელიც არის მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს უტიფრობა პოლიტიკაში, – განაცხადა პაპუაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი: „რუსული აგენტურის უტყუარი ტესტია, თუ ვინ ითხოვს ჩემს ციხეში დატოვებას“

– რუსული აგენტურის უტყუარი ტესტია, თუ ვინ ითხოვს ჩემს ციხეში დატოვებას, – ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტი სოციალურ ქსელში წერს. მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ რუსეთს მისი ხმის ჩახშობა სურს, რადგან კარგად იცის, თუ რამდენად ეფექტურად შეძლებდა ის ამ მძიმე ვითარებაში უკრაინის დახმარებას.

ამასთან, ექსპრეზიდენტი ქართულ ელექტორატსაც მიმართავს და მოუწოდებს, არასდროს დაავიწყდეთ, ვინ რა პოზიციაზე იდგა პრინციპულ საკითხებში.

არავის მსოფლიოსა და უკრაინაში ეჭვიც არ ეპარება, რომ მე ვარ პუტინის პატიმარი გამოგონილი ბრალდებებით, ეს კარგად იციან ქართველებმაც. ამიტომ რუსული აგენტურისა და მათი დამქაშების უტყუარი ამოცნობის ერთ-ერთი უმარტივესი ტესტი არის ის, თუ ვინ ითხოვს ჩემს ციხეში დატოვებას, თან რაც შეიძლება მძიმე პირობებში.

ამავე დროს რუსებს ჩემი ხმის ჩახშობა სურთ არა იმდენად საქართველოს, არამედ უკრაინის მიმართულებით. მათ კარგად იციან, თუ რამდენად ეფექტურად შევძლებდი მე დღეს უკრაინის დახმარებას.

ქართულ ელექტორატს კი მინდა ვუთხრა, არასდროს დაგავიწყდეთ კრიტიკულ მომენტებში, პრინციპულ საკითხებზე ვინ რა პოზიციაზე იდგა. მტერს მიაჩნია, რომ თქვენ თევზის მახსოვრობა გაქვთ და ვაჩვენოთ, თუ რამდენად მწარედ ცდება ის, – წერს სააკაშვილი.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

ბათუმში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, უცხო ქვეყნის 2 მოქალაქე დააკავეს

სასაზღვრო პოლიციის ცნობით, ბათუმში ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარების ბრალდებით, უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე (2005 წ. დაბადებული ჰ.მ. და 2000 წელს დაბადებული ჰ.ს.) დააკავეს.

სამართალდამცველებმა ჰ.მ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 2 ცალი მჭიდი და 46 ცალი ვაზნა, ხოლო ჰ.ს.-ს საცხოვრებელი ბინიდან ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, 7 მჭიდი და 268 ცალი ვაზნა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის-მესამე ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მყინვარწვერზე ქართველი მთამსვლელი დაიკარგა

ყაზბეგში, მყინვარწვერზე ქართველი მთამსვლელი დაიკარგა. სამძებრო სამუშაოები უკვე რამდენიმე დღეა უშედეგოდ მიმდინარეობს.

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განაცხადეს, სამძებრო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და პროცესში 20-მდე მაშველია ჩართული.

ჩცდ-ს მსახიობს მანქანა დაუზიანეს

დავით დვალი ჩცდ-ში პოლიციელის, გაჩა ზვერაძის როლს ასრულებს.

ვიდეო კამერის ჩანაწერების მიხედვით, უცნობი პირი კონკრეტულად დვალის მანქანასთან მიდის და მას აზიანებს. მსახიობი ფორმულასთან აღნიშნავს, რომ მოგვიანებით თავდამსხმელმა ინსცენირება მოაწყო, თითქოს ავტომანქანა კორპუსიდან გადმოვარდნილმა ნივთმა დააზიანა.

„ამ ქვეყნის მონაპოვარია კანდიდატი ქვეყნის სტატუსი“

ნათია ხურცილავა

სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსი, პოლიტოლოგი პეტრე მამრაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო პეტრე, როგორ შეაფასებდით მიმდინარე წელს, რა პოლიტიკურ მოვლენას გამოყოფდით?

– საქართველოს ხელისუფლებამ, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა, რომლებიც არაერთხელ გამიკრიტიკებია, სტრატეგიული მოთმინებით, მიზანმიმართულად, მიუხედავად იმისა, რომ ამ გზაზე არაერთხელ შეხვდათ წინააღმდეგობა შინ თუ გარეთ, მიაღწიეს ქვეყნის ინტერესების დაცვას. ვგულისხმობ საერთაშორისო არენაზე მიღწეულ წარმატებას. ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი ნამდვილად არის წარმატება. ეს არის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი.

გამალებული მუშაობა მიდიოდა იმაზე, რომ როგორმე ჩვენს ქვეყანას არ მიეღო კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. ბევრი ვიღაც მუშაობდა ამაზე. ცხადია, ქვეყნის მტრები.

ოპოზიციას სურდა, ევროკავშირს კანდიდატის სტატუსი არ მოეცა და ეს სათავისოდ გამოეყენებინა. ისინი ფიქრობდნენ თუ ევროკავშირი ამჯერადაც უარს გვეტყოდა, მაშინ ხალხი ქუჩაში სპონტანურად გამოვიდოდა და რაღაცას მიაღწევდნენ.

– რას მიაღწევდნენ?

– ოპოზიციას ფსონი სწორედ ამაზე ჰქონდა დადებული, რომ როგორმე ეს შესაძლებლობა გამოეყენებინა, იქნებ რამისთვის მიეღწია. გეგმაში იყო, რომ პარლამენტში შევარდნილიყვნენ, ალბათ, როგორც სააკაშვილი შევარდა 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ დროს. პარლამენტში შევარდნას კი, ფიქრობდნენ, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა და ძალაუფლების ხელში აღება მოჰყვებოდა. თუმცა, ოპოზიცია მწარედ შეცდა. სწორედ ამას ემსახურებოდა ის ლოზუნგები, რომელიც ისმოდა – ამ მთავრობის პირობებში სტატუსს არავინ მოგვცემს! უკრაინამ და მოლდოვამ მიიღო, რადგან ისინი ღირსად ჩათვალეს, ჩვენი მთავრობა კი ამის ღირსად არ მიაჩნია ევროკავშირს – ეს ფრაზები ისმოდა მათი მხრიდან. ამას აჯერებდნენ ხალხს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ევროკავშირი მზად არის მოგცეს სტატუსი ყოველგვარი დამატებითი წინაპირობების გარეშე.



პეტრე მამრაძე: „ოპოზიციის ცრუ მოლოდინები საპნის ბუშტივით გასკდა“

რაც შეეხება 9-პუნქტიან გეგმას, გასაგებია, რომ სამუშაო გასაწევია, სხვათა შორის, ყველას მხრიდან. ამდენად, ეს იყო ოპოზიციის ცრუ მოლოდინების შექმნა, რომელიც საპნის ბუშტივით გასკდა.

– წინასაარჩევნოდ, როგორ ფიქრობთ, „ქართულ ოცნებას“ კარგ სასტარტო პირობებს უქმნის ეს მდგომარეობა, თუნდაც სტატუსის მიღება?

– შეიძლება ასეც არის, მაგრამ აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვა ოპოზიციასაც ევალება.

– ძლიერი, ანგარიშგასაწევი ოპოზიცია მთავრობას ყოველთვის ფორმაში ამყოფებს.

– დიახ, აბსოლუტურად გეთანხმებით! ამიტომაც არის საჭირო ძლიერი, ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული ოპოზიცია. დემოკრატიის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის კომპეტენტური ოპოზიცია უმნიშვნელოვანესია.

კიდევ ერთი, რასაც გამოვყოფდი, როგორც ამ წლის მონაპოვარს, ეს ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობაა. მე ვთვლი, რომ არა ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა, შეიძლება ევროკავშირს ეს გადაწყვეტილება არც კი მიეღო.

– სტატუსის მონიჭება?

– დიახ. საქართველოს, ჩინეთის მიმართულებით ყურება, სტრატეგიული პარტნიორობა, დასავლეთს, ევროკავშირს სტრატეგიულად არაფერში აწყობს. ამიტომ დასწრების პრინციპი ამოქმედდა. ასე ვიტყოდი, დააჩქარა.

– რას მოგვიტანს ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა?

– ძალიან მნიშვნელოვანი მგონია ეს პარტნიორობა ეკონომიკური მიმართულებით. შეიძლება ჩინეთს ახლა ეკონომიკაში სიძნელეები აქვს, მაგრამ დასავლური პრესა, ანალიტიკოსები წერენ, რომ ეს დროებითია.

ამერიკის პრეზიდენტმა ბაიდენმა კი თქვა, რომ ჩინეთის პრეზიდენტი დიქტატორია, მაგრამ სი ძინპინს მთელი ამერიკელი მილიარდერები, ფინანსური მაგნატები ფეხზე წამოუდგნენ და ოვაციებით შეხვდნენ, როდესაც დარბაზში შევიდა. მას, როგორც პოტენციურ გადამრჩენელს, ისე უყურებდნენ.

რა თქმა უნდა, 3 მილიონ-ნახევრიანი ქვეყანა, ჩინეთის, ასეთი გიგანტური სახელმწიფოს, გიგანტური ეკონომიკის სტრატეგიული პარტნიორი ხდება, ეს მის ეკონომიკაზე აისახება. ვფიქრობ, პირველ რიგში, ეს ხიბლი აქვს ჩინეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას.

პრემიერი: „ყველამ ერთად მივაღწიეთ ძალიან დიდ წარმატებას ამ წელს და ავიხდინეთ ერთი მთავარი ოცნება — ჩვენი ქვეყანა გახდა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა“

– მინდა საუბარი დავიწყო იმით, რომ ჩვენ, ყველამ ერთად, მივაღწიეთ ძალიან დიდ წარმატებას ამ წელს და ჩვენ, ყველამ ერთად, ავიხდინეთ ერთი მთავარი ოცნება და ჩვენი ქვეყანა გახდა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ელჩების კონფერენციის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს არის ძალიან დიდი მიღწევა ხელისუფლებისა და ხალხის, ერთობლივი მუშაობის.

– პირველ რიგში, მინდა საუბარი დავიწყო იმით, რომ ჩვენ, ყველამ ერთად, მივაღწიეთ ძალიან დიდ წარმატებას ამ წელს და ჩვენ, ყველამ ერთად, ავიხდინეთ ერთი მთავარი ოცნება და ჩვენი ქვეყანა გახდა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა. ეს არის ძალიან დიდი მიღწევა ჩვენი ხელისუფლებისა და ჩვენი ხალხის, ჩვენი ერთობლივი მუშაობის. მინდა გულწრფელად ყველა დიპლომატს, ყველა ელჩს გადაგიხადოთ მთავრობის სახელით მადლობა თქვენი გაწეული შრომისთვის, თავდადებისთვის, პატრიოტიზმისთვის. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ ეს გზა არ ყოფილა იოლი, ძალიან ბევრი საქმე იქნა გაწეული როგორც პარლამენტის, ასევე მთავრობის მიერ, ჩვენი დიპლომატიური კორპუსის მიერ და შედეგი გვაქვს სახეზე, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ სულ რაღაც 11 წელიწადში, დღეს ჩვენი ქვეყანა დემოკრატიზაციის განვითარების კუთხით მსოფლიო ათეულშია.

– მე ახლა მინდა უფრო ფართოდ მიმოვიხილო ჩვენი 11-წლიანი მმართველობის კონკრეტული შედეგები, რასაც მივაღწიეთ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. მოგეხსენებათ კარგად და მე არ მინდა დეტალები გავიხსენო, თუ რა ვითარება იყო 11 წლის წინ, მაშინ, გახსოვთ კარგად, რომ არ იყო დაწყებული, რაიმე კონკრეტული, ქმედითი ნაბიჯები არ იდგმებოდა ევროინტეგრაციის გზაზე, არამედ პირიქით, ყოველ წელს, ყოველ თვე და ყოველ დღე საქართველო შორდებოდა ევროპას. ეს იყო რეალობა, მეგობრებო, საქართველო 2012 წლამდე შორდებოდა ევროპას და ყალიბდებოდა როგორც ავტორიტარული, დიქტატორული რეჟიმი. ეს რეალობა დახვდა „ქართულ ოცნებას“ და ბატონ ბიძინა ივანიშვილს. სულ რაღაც 11 წელიწადში, დღეს ჩვენი ქვეყანა დემოკრატიზაციის განვითარების კუთხით მსოფლიო ათეულშია და დღეს, 11 წლის თავზე, ჩვენი ქვეყანა არის ევროკავშირის კანდიდატი წევრი სახელმწიფო. ამ ორი სიტყვით ძალიან მოკლედ მინდა შევაფასო კიდევ ერთხელ თქვენთან ერთად ის მმართველობა და ის შედეგი, ის ხელშესახები შედეგი, რომელსაც მიაღწია „ქართულმა ოცნებამ“.

„რაც შეეხება სხვა შედეგებს, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მანამდე, სწორედ ჩვენი ხელისუფლების დროს დაიწყო ასოცირებაზე მუშაობა, გაფორმდა ხელშეკრულება, შემდეგ თავისუფალი ვაჭრობა ევროპასთან, უვიზო რეჟიმი, რომელიც ნარმოუდგენელი იყო, 2012 წლამდე ვინმეს რომ ეფიქრა ამ შედეგზე და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის დაგვირგვინება, ამ დიდი სამუშაოს დაგვირგვინება, დიდი ძალისხმევის დაგვირგვინება სწორედ იყო კანდიდატის სტატუსი, რომელსაც ჩვენ, ყველამ ერთად, მივაღწიეთ. ეს, რა თქმა უნდა, თავისით არ მოხდა, არ მოხდებოდა, კიდევ ვიმეორებ, ეს იყო, ბუნებრივია, დამოკიდებული იმ დიდ გარდატეხაზე, რომელსაც მიაღწია ქვეყანამ 2012 წელს, ის დემოკრატიული გარდატეხა და ის დიდი წინსვლა, რომელიც მოიტანა ბიძინა ივანიშვილის მმართველობამ და „ქართულმა ოცნებამ“ მთლიანად, ჩვენმა გუნდმა, მმართველმა პარტიამ და, რა თქმა უნდა, ეს გზა გრძელდება, რომელიც კიდევ უფრო მეტ ხელშესახებ შედეგებს მოიტანს ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე, – განაცხადა პრემიერმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ბოლო 3 წლის განმავლობაში საქართველოში არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ეკონომიკა.

– ბატონმა მინისტრმა აღნიშნა და მინდა გავიმეორო, ჩვენ დღეს ვიმყოფებით გარემოში, სადაც ყოველდღე იცვლება მსოფლიო წესრიგი და ვხედავთ, რომ ჯერჯერობით ამ პროცესის გაჩერება შეუძლებელია. ამიტომ, ასეთ ვითარებაში ისეთი ქვეყანა, როგორიც არის საქართველო, თავისი გამოწვევებით, თავისი ეროვნული ინტერესებით, რა თქმა უნდა, კიდევ ვიმეორებ, ჩვენ არ გვაქვს უფლება არ ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ეროვნული ინტერესებით.

შესაბამისად, მეგობრებო, სახეზე არის კონკრეტული შედეგი. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდა ეროვნული მთავრობა და ეროვნული ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება, დაიწყო კონკრეტული შედეგების მოტანა ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხისთვის – ეს არის რეალობა, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე ყურადღება გაამახვილა კონკრეტულ რეიტინგებზე.

– მე ასევე მინდა, თქვენთან ერთად კიდევ ერთხელ გავიმეორო ის მიღწევები, რომლებსაც ჩვენ ბოლო 11-წლიანი მმართველობის შედეგად მივაღწიეთ. მე რამდენიმე კონკრეტულ რეიტინგს მინდა შევეხო და საზოგადოებასა და თქვენ, ყველას ერთად, შეგახსენოთ, თუ რა კონკრეტული შედეგი მოიტანა ჩვენი მმართველი პარტიის მმართველობამ.

დავიწყებ იმით, რომ, ბუნებრივია, ჩვენ, როგორც უკვე აღვნიშნე დასაწყისში, დემოკრატიზაციის გზაზე ძალიან ძლიერი, სწრაფი პროგრესი გვქონდა და შემთხვევითი არაა, კიდევ ვიმეორებ, რომ 180 ქვეყანას შორის დღეს საქართველო დემოკრატიზაციის 10-წლიანი პროგრესით, მსოფლიოს საუკეთესო ათეულშია, ასევე კანონის უზენაესობის ინდექსით საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზეა. მე მინდა ვახსენო ინდექსი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის იმიჯისთვისა და პოზიციონირებისთვის, როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ, ინდექსი ისეთი, როგორიც არის კორუფციისგან თავისუფლება, საქართველო მსოფლიოში 33-ე ადგილზე გავიდა, ევროპის საუკეთესო ოცეულში მოხვდა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში – პირველი ადგილი დაიკავა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის“ თანახმად, რომელიც მსოფლიო ბანკმა „გლობალური მმართველობის ინდიკატორების“ პროექტის ფარგლებში გამოაქვეყნა, საქართველო დღეს უსწრებს ევროკავშირისა და ნატოს წევრ მრავალ სახელმწიფოს. კორუფციის კონტროლის რეიტინგში საქართველო მსოფლიოში მე-20, ევროპაში მე-11 ადგილზეა, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ბოლო 30 წლის განმავლობაში ეს არის ერთადერთი უპრეცედენტო გამონაკლისი დეკადა 10-წლიანი მმართველობის, როცა არ ყოფილა სერიოზული კონფლიქტი, ომი და ქვეყანას არ დაუკარგავს ტერიტორიები.

„გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მომავალი წელი რთული იქნება“

პუტინის მომავალი ლუკაშენკოსაც კი აეჭვებს?

მარიამ მჭედლიშვილი

ანალიტიკოსები აფასებენ 2023 წელს. თავისი მოსაზრებები ბელარუსის თავისუფალ მედიას გააცნო უკრაინელმა სამხედრო-პოლიტიკურმა ექსპერტმა ალექსანდრ მუსიენკომ.

– რომელი მოვლენები იყო მთავარი 2023 წელს?

– პირველ ადგილზე დავაყენებდი რუსეთის აგრესიის გაგრძელებას უკრაინის წინააღმდეგ. ეს გავლენას ახდენს ძალიან ბევრ მოვლენაზე მსოფლიოში. მეორე მოვლენა, რომელსაც გამოვყოფდი, პირველიდან გამომდინარეობს. ეს არის ნატოს აღმოსავლეთ ფლანგისა და ფინეთის უსაფრთხოების გაძლიერება პუტინის მუქარების ფონზე. ეს ცვლის უსაფრთხოების არქიტექტურას ევროპაში. წლის შემდეგი მოვლენაა ჰამასის იერიში ისრაელზე, რაც აისახება საერთაშორისო ლანდშაფტზე. ასევე დავასახელებ აშშ-სა და ჩინეთს შორის ურთიერთობების დალაგების მცდელობას.

გასახსენებელია პრიგოჟინის ბუნტი რუსეთში. ამ პრეცედენტმა დაამტკიცა, რომ რუსეთის ფედერაციაში ასეთი რამ შესაძლებელია.

კიდევ ერთი უჩვეულო მოვლენა იყო რუსეთის მიმართვა ჩრდილოეთ კორეისადმი ჭურვების გამო. ხშირად არ ხდება, როცა ძლიერად მიჩნეული სახელმწიფო უფრო სუსტს შეიარაღებას სთხოვს.

პირადად ჩემთვის საინტერესო გამოდგა არგენტინაში ხავიერ მილეის პრეზიდენტად არჩევა. იგი ლიბერტარიანელობის დეკლარირებით გამოდის.

– ლუკაშენკოს რეჟიმისთვის როგორი იყო ეს წელი?

– ჩემი აზრით, ლუკაშენკო ცდილობდა რუსეთისა და პუტინისგან დისტანცირებას. აშკარაა, რომ ბელარუსი დიქტატორი არაა დარწმუნებული პუტინის მომავალში. ლუკაშენკო ეძებს ეკონომიკური კავშირების აღდგენის გზებს. გავიხსენოთ მისი ჩასვლა ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში. ბელარუსის დიდი დელეგაცია ახლახან იმყოფებოდა ვიეტნამში.

ლუკაშენკო არაა დარწმუნებული იმაში, რომ რუსეთი ბელარუსს მხარს დაუჭერს. ეს არის სიგნალი ბელარუსებისთვის. რუსეთის ეკონომიკის პერსპექტივები სახარბიელო არ არის. განსაკუთრებით, სანქციების მე-12 პაკეტის (ევროკავშირის სანქციების მორიგი პაკეტის) შემდეგ. ლუკაშენკომ, როგორც პოლიტიკოსმა, თავი ამოწურა.

– 2024 წელზე რა პროგნოზს გააკეთებთ?

– გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მომავალი წელი მარტივი არ იქნება. ჯერ ერთი, გაგრძელდება რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ. მეორეც, დაგეგმილია არჩევნები აშშ-ში, რომელიც იმოქმედებს მსოფლიო მოვლენებზე. მესამე – ეს წელი იქნება იმის მაჩვენებელი, გაგრძელდება თუ არა საერთოდ ომი უკრაინაში ამ ეტაპზე. მიმაჩნია, რომ 2024 წლის ბოლოსთვის უფრო მეტად გამოიკვეთება, თუ როდის დასრულდება ომი.

ჩემი პროგნოზით, რუსეთის მიერ თავდაცვისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ტექნოლოგიურ გარღვევას არ ეყოფა. რუსეთის ეკონომიკა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი დასუსტდება.

უკრაინა ევროპასთან ერთად გააძლიერებს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს და იმუშავებს ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ძვრებზე შეიარაღებაში.

2024 წელს ევროპულ ქვეყნებში საბოლოოდ დაიმსხვრევა ტექნოლოგიური რესურსების არსებული პარადიგმა. მის თანახმად, ქვეყნების უმრავლესობა სათანადო ყურადღებას და რესურსებს არ უთმობდა შეიარაღებასა და უსაფრთხოებას. ეს ასე აღარ იქნება.

როგორია ჩინეთის დამოკიდებულება უკრაინის ომის მიმართ?

მარიამ მჭედლიშვილი

ელო ხანს მსოფლიოში ბევრს ებრობენ უკრაინაში ომის გაყინვის რსპექტივაზე. სპეციალისტები ვე ითვლიან სარგებელს, ძელიც ომის გამო ზოგიერთმა ელმწიფომ ნახა. ასეთ ხელმწიფოდ სახელდება ჩინეთი. ინეთის პოლიტიკაზე საუბრობს ამ ქვეყნის საკითხების მცოდნე ლაიბციგის უნივერსიტეტიდან ალექსეი ჩაგადაევი.

ალექსეი ჩაგადაევი:

– ჩინეთი დაინტერესებულია სტაბილური ევროპით, სტაბილური ინფრასტრუქტურით, სტაბილური სავაჭრო გზებით, უკრაინიდან საქონლის სტაბილური მოწოდებით. ეს მაინც არაა ის კრიტიკული ფაქტორები, რომლებიც ჩინეთს პოზიციას შეაცვლევინებს. ჩინეთს აქვს სურვილი მიიღოს მონაწილეობა ამ კრიზისის დაძლევაში, მაგრამ ის ვერ ხედავს კონსტრუქციულ გადაწყვეტას, არაეფექტურ ისტორიაში გარევა კი არ უნდა. პეკინს არ სურს იმ ისტორიაში ჩაბმა, საიდანაც გამარჯვებული ვერ გამოვა. მეორე საკითხია, იღებს თუ არა ჩინეთი სარგებელს.

– ესე იგი, ჩინეთს ომის გაგრძელება არ უნდა, მაგრამ ის ვერ ხედავს, თუ როგორ უნდა დაამთავროს ის თავისი მონაწილეობით?

– შესაძლებლობა რომ გვქონდეს, ვკითხოთ სი ძინპინს, ომის დამთავრება უნდა თუ გაგრძელება, ეჭვი არ მეპარება, იგი იტყოდა: უკეთესი იქნებოდა, რომ ომი არ იყოსო. ასეთ შემთხვევაში ევროპასთან ბელარუსის გავლით წარიმართებოდა ვაჭრობა და განვითარდებოდა „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ პროექტი, ჩინეთი შეიძენდა სურსათს უკრაინაში და დაბანდებდა ინვესტიციებს რაღაც პროექტებში უკრაინაში. მაშინ ჩინეთს არ ექნებოდა კონფლიქტი ევროპასთან და აშშ-სთან დამატებითი კონფლიქტის წერტილები.

– ამასთან, ჩინეთი სარგებელს იღებს უკრაინაში ომიდან?

– დიახ, რასაკვირველია. რუსეთის აღმოსავლეთისკენ შებრუნება დაახლოებით ათი წელია მიმდინარეობს. დღეს ეს შებრუნება უალტერნატივო გახდა: ან ბრუნდები აღმოსავლეთისკენ, ან – შენი ბიზნესი კვდება.

– საიდან იღებს მოგებას ჩინეთი?

– რუსეთიდან მოწოდებული საქონლის, რუსეთთან ვაჭრობის, ასევე ჩინეთიდან ექსპორტის ხარჯზე. რუსი ბიზნესპარტნიორები ჩაყენებული არიან იმ სიტუაციაში, რომ (საქონელს) ან ჩინეთისგან ყიდულობ, ან საერთოდ ვერ ყიდულობ. ჩინელი პარტნიორები ფასებს ზრდიან. ეს ყველაფერი ჩინელებისთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე რუსებისთვის.

„შტორმი, ყინვა, ნალექი“ – როდის გამოიდარებს

– არ არსებულა ჯერ ისეთი უამინდობა, რომელსაც არ ჰქონია დასასრული, საბოლოოდ მზე ყოველთვის გამოდის... ასე რომ, არ იდარდოთ მეგობრებო, საახალწოლოდ ძალიან დაგვითბება, – წერს მეტეოროლოგი კობა ფარტენაძე სოციალურ ქსელში.

– ხმელთაშუა ზღვის აუზზე მდებარე დიდი და შთამბეჭდავი ანტიციკლონი ფაქტობივად ჩააქრობს შუქს ისედაც გაურკვეველ ზამთრის აქტივობაზე, სითბოა მოსალოდნელი ახალი წლის დღეებში, სრულად ევროპაში და მათ შორის საქართველოშიც – 29 დეკემბრიდან პრაქტიკულად გაზაფხულის მსგავსი ტემპერატურის მაჩვენებლებით 18/20° გრადუსთან ახლოს.

მანამ კი 26 დეკემბრის შუადღემდე საქართველოში ნარჩუნდება ცივი და ნალექიანი ამინდი – შტორმული გაფრთხილება ძალაშია ზეგ დილამდე, – წერს მეტეოროლოგი.

ეკონომიკა

მთავრობის ადმინისტრაციის კუთვნილ ავტომობილებზე პატრულმა წელს 287 ჯარიმა გამოწერა

მთავრობის ადმინისტრაციის ბალანსზე არსებულ ავტომობილებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო პატრულმა წელს 287 ჯარიმა გამოწერა. ამის შესახებ ინფორმაციას ადმინისტრაცია, პარლამენტის წევრის თინა ბოკუჩავას სადეპუტატო კითხვის პასუხად ავრცელებს.

კერძოდ, ადმინისტრაციის ცნობით, 2020 წლიდან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო მთავრობის ადმინისტრაციის ბალანსზე არსებულ ავტომობილებზე ჯამში გამოწერილია 775 ვიდეო ჯარიმა.

აქედან, 2020 წელს – 158 ვიდეოჯარიმა; 2021 წელს – 144. 2022 წელს – 186 ჯარიმა, ხოლო 2023 წლის იანვრიდან დეკემბრის შუა რიცხვებამდე დაფიქსირებულია – 287 ვიდეოჯარიმა.

ვიდეოჯარიმების ანაზღაურებას უზრუნველყოფენ სამართალდამრღვევები და შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან მათი გადახდა არ ხორციელდება.

1 აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.6908 ლარი გახდა.

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, დღევანდელი ვაჭრობის შედეგად 1 აშშ დოლარის ღირებულება 2.6908 ლარი გახდა. კურსი, რომელიც დღეს მოქმედებდა, 2.6905 ლარი იყო. შესაბამისად, დოლარის ცვლილებამ ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში 0.0003 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 2.9645 ლარია. მაშინ, როცა დღეს მოქმედი კურსი 2.9636 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ევროს ცვლილებამ 0.0009 ლარი შეადგინა.

ჯანდაცვის სამინისტრო: ფასის ზედა ზღვარი 5.148 მედიკამენტზე განისაზღვრა – 3.045 წამალზე რეფერენტული ფასი უკვე მოქმედებს



ჯანდაცვის სამინისტრომ, მედიკამენტზე რეფერენტული ფასწარმოქმნის ერთი წელი შეაჯამა.

უწყების ცნობით, რეფორმა 2023 წლიდან ამოქმედდა, 15 იანვარს კი 1.300 მედიკამენტზე პირველი რეფერენტული ფასები გამოქვეყნდა.

მათივე განმარტებით, დღევანდელი მონაცემებით, ფასის ზედა ზღვარი 5.148 მედიკამენტზე განისაზღვრა – 3.045 წამალზე რეფერენტული ფასი უკვე მოქმედებს, 2.103 მედიკამენტზე კი ეტაპობრივად, უახლოეს პერიოდში, შევა ძალაში.

– რეფერენტული ფასწარმოქმნის მექანიზმი, თავდაპირველად, ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტებზე ამოქმედდა, რის შემდეგაც წამლების ჩამონათვალი გაფართოვდა. რეფორმის შემდგომ ეტაპებზე, ფასის ზედა ზღვარი ანტიბიოტიკებზე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებზე, ანტიჰისტამინურ, ანთების საწინააღმდეგო, ფსიქოლეფსიურ, კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე მოქმედ, ტკივილგამაყუჩებელ, ფსიქოტროპულ, ანტივირუსულ და ანტიჰელმინთურ პრეპარატებზე განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, რეფერენტული ფასი, მიმოქცევაში არსებულ ყველა მედიკამენტზე გავრცელდება.

რეფორმის მიზანი მოსახლეობისთვის წამლებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა. ცვლილებით, სახელმწიფომ მედიკამენტების ღირებულების ის მაქსიმალური ზღვარი დაადგინა, რომელზე მაღალ ფასადაც მათი რეალიზაცია აიკრძალა. შედეგად, ფარმაცევტული პროდუქტების ფასი, საშუალოდ, 40%-ით შემცირდა, – ნათქვამია ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

ახალი წლის ღამეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა გახანგრძლივდება

ახალი წლის ღამეს საზოგადოებრივი ტრანსპორტი გახანგრძლივებულ რეჟიმში იმოძრავებს.

როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ დღეს დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, როგორც მეტროპოლიტენი, ისე ავტობუსები და რიყენარიყალას საბაგირო გზა მგზავრებს 1-ელი იანვრის 03:00 საათამდე მოემსახურება.

– 31 დეკემბერს, ახალი წლის ღამეს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერია პირველი რესპუბლიკის მოედანზე საახალწლო ღონისძიებას გეგმავს. მინდა, ტრანსპორტთან დაკავშირებით მოგაწოდოთ ინფორმაცია: მეტროპოლიტენის მომსახურება 31 დეკემბრის 00:00 საათიდან გახანგრძლივდება პირველი იანვრის 03:00 საათამდე; ავტობუსებით მგზავრთა მომსახურება გახანგრძლივდება 31 დეკემბრის 23:00 საათიდან 2024 წლის პირველი იანვრის 03:00 საათამდე; რიყენარიყალას საბაგირო გზით მგზავრთა მომსახურება 31 დეკემბრის 22:00 საათიდან გახანგრძლივდება 2024 წლის პირველი იანვრის 03:00 საათამდე, – განაცხადა კახა კალაძემ.

რაც შეეხება შობის ღამეს, დედაქალაქის მერის თქმით, მეტროპოლიტენით მგზავრთა მომსახურება 6 იანვრის 00:00 საათიდან გახანგრძლივდება 7 იანვრის 03:00 საათამდე და მგზავრთა მომსახურება უფასო იქნება.

ნაქერალას უღელტეხილზე მსუბუქი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგა

ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების შედეგად, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი(მოწამეთა)-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ39-კმ52 (ნაქერალას უღელტეხილი) მონაკვეთზე მსუბუქი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილია, ხოლო მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ინტენსიური თოვის გამო, აკრძალულია.

ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

„შვილის ნაცვლად თავი მე მომკვეთეთ!“

რისთვის გაიღო ქრთამი გორგასალ ჩხეიძემ

ჩხეიძეთა გვარი ტრაგიკულად გადაეჯაჭვა გიორგი სააკაძის პერსონას.

ქართულ ისტორიულ წყაროებში თავად ჩხეიძეების ანუ ჩხეტიძეების გვარის შესახებ ცნობები გვხვდება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში, რომელიც თარიღდება მე-14 საუკუნით, სადაც მოიხსენიება რუსი ჩხეტიძე. მე-16-17 საუკუნეებში ეს საგვარეულო თავისი ინტელექტის გაფურჩქვნის ზენიტს აღწევს და იმერეთის სამეფოში (ნაწილობრივ ქართლშიც) როგორც სასულიერო, ისე საერო სფეროში დომინირებს. თავად ჩხეიძეებს უჭირავთ ისეთი მნიშვნელოვანი სახელოები, როგორებიცაა კათალიკოსი, მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი, ხოლო მეფის კარზე – ამილახორის, მანდატურთუხუცესის, მსაჯულთუხუცესის თანამდებობები. ამ დროს იმერეთის სამეფოში მოღვაწეობდა აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი ევდემონი (1557-1578). კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის ზეობაში მოხდა საკათალიკოსო ტახტის ბიჭვინთიდან გელათში მუდმივად გადმოტანა. კათალიკოსი ევდემონი დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ცნობილი პიროვნება იყო. მის სახელს მრავალი ხელნაწერის გადაწერა, გელათის სამონასტრო კომპლექსის სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება უკავშირდება. კათალიკოს ევდემონის ფრესკული გამოსახულება გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზეცაა შემორჩენილი, საქართველოს მეფე დავით აღმაშენებლისა და იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს შორის. კათალიკოსი გელათში, წმიდა გიორგის ეკლესიაშია დაკრძალული. სწორედ ამ პერიოდში, ბაგრატ III-ის მეფობის დროს ხდება დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენა და ახალი საეპისკოპოსოების დაარსება. საეპისკოპოსო კათედრებზე მეფე თავის ერთგულ ფეოდალებს ნიშნავს და ხუთ საეპისკოპოსო კათედრას ჩხეტიძეებს აბარებს. ერთ-ერთმა მათგანმა, თავადმა ხოფილანდრე ჩხეიძემ სახელი იმით გაითქვა, რომ გელათის სამრეკლოდან გამოაპარა ლევან I დადიანი 1546 წელს, რომელიც იმერთა მეფე ბაგრატ III-ის წინააღმდეგ გამოსვლისთვის იქ იყო ჩაკეტილი.

ჩხეიძეთა გავლენის ზრდას ხელს უწყობდა ფართო ნათესაური კავშირები იმერეთისა და ქართლის მეფე-თავადებთან. თავად ქექაოზ ჩხეიძის თანამეცხედრე გახლდათ ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის ასული, რომლის სახელიც უცნობია. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ჩხეიძეები მხარში ედგნენ ქართველ მეფეებს ერთიანობისთვის ბრძოლაში, ქექაოზ ჩხეიძის შვილის – გორგასალის მეუღლე იყო გიორგი სააკაძის ასული, რომლის სახელიც, ასევე უცნობია. გიორგი სააკაძისა და ჩხეიძეთა მოყვრობის შესახებ ცნობებს გვაწვდის მეფე ვახტანგ VI-ის სიგელი, რომელიც გაცემულია მოლარეთუხუცეს სეხნია ჩხეიძის სახელზე.

❖ ❖ ❖

წმინდა ვახტანგ გორგასალი

გიორგი სააკაძესთან ნათესაობის გამო გორგასალ ჩხეიძე მისი ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. ბაზალეთის ტბასთან დამარცხებულ სააკაძეს გორგასალ ჩხეიძე თურქეთში გაჰყვა. თურქეთში ის ცნობილი გახდა ფარად-ფაშას სახელით. ეს ჩანს იოსებ თბილელის პოემა „დიდმოურავში“, სადაც დასახელებულია ფარად ფაშა. იმდროინდელი ჟამთააღმწერის, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, როცა გიორგი სააკაძე თანმხლებ პირებთან ერთად თურქეთში ჩავიდა, მათ დიდი პატივი დასდეს და სამი-ოთხი საფაშო სარჩოდ გაუჩინეს. როგორც ჩანს, ერთ-ერთი საფაშოს ფაშად გორგასალ ჩხეიძე უნდა ვივარაუდოთ.

გორგასალ ჩხეიძის ერთ-ერთი ვაჟი, ბეჟანი თავის პაპას – გიორგი სააკაძეს თურქეთში ახლდა, როცა მას თურქებმა მუხანათურად უღალატეს. დიდი ვეზირის – აზამის ბრძანებით გიორგი სააკაძე თანხმლებ პირებთან ერთად დაატყვევეს. გორგასალ ჩხეიძე სრულიად შემთხვევით ასცდა დაპატიმრებას. თურქმა ჯალათებმა დატყვევებულები თვლით ჩაიბარეს და შესაბამისი რიცხვით მათი მოკვეთილი თავები უნდა წარედგინათ დიდვეზირ აზამისთვის. თავად გორგასალ ჩხეიძემ უმაგალითო თავგანწირვა გამოიჩინა და თავისი ვაჟი ბეჟანი სიკვდილს გადაარჩინა. ბერი ეგნატაშვილი გვაუწყებს, რომ აზამ ვეზირს ხონთქრის და ჰყავდა ცოლად. როცა დიდმა მოურავმა სახელი გაითქვა, მაშინ იწყინა ხონთქრის დამ და ვეზირს წერილი მისწერა, როგორ გეკადრება, სულ მოურავის სახელს აქებენ და შენ არავინ გახსენებსო. მაშინ ვეზირმა დაპატიჟა და ღალატით მოკლა მოურავი და მისი ახლობლები. ბეჟანიც სასიკვდილოდ გაიმეტეს. მაშინ გორგასალმა ქრთამი მისცა ისაუულს და შეეხვეწა მას, ჩემს შვილს ნუ მოკლავ, მე მომკალი და სათვალავში ჩაგეთვლებაო. მტარვალმა ისმინა მისი თხოვნა და აღარ მოუკლა შვილი. სამაგიეროდ, თავი გორგასალს მოკვეთეს. გადარჩენილი ბეჟანი ქართლში დაბრუნდა და მალე როსტომ მეფის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა. მოგვიანებით ბეჟანი იმერეთში მოღვაწეობს და სახლთუხუცესის თანამდებობას ფლობს.

მე-17 საუკუნის 30-50-იან წლებში იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სა და სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანს შორის ატყდა ბრძოლა დასავლეთ საქართველოში გაბატონებისთვის. ამ ბრძოლაში ჩხეიძეები მხარს ალექსანდრეს უჭერდნენ, ლევან დადიანს კი ქართლის მეფე როსტომი და ირანის შაჰი სეფი II ეხმარებოდნენ. ასეთი მოკავშირეებით ზურგგამაგრებული დადიანი ძალიან გაძლიერდა და იმერეთს ჩაგრავდა. ამიტომ მეფის მომხრე ჩხეიძეები დადიანმა იმერეთიდან გაყარა და ისინი იმერთა მეფის – ალექსანდრე III-ის ძმასთან – მამუკა ბატონიშვილთან ერთად ახალციხის ფაშა იუსუფთან აფარებდნენ თავს. ბეჟან ჩხეიძე ნათესაურადაც უკავშირდებოდა მამუკა ბატონიშვილს, ბეჟანის ასული მამუკას მეუღლე გახლდათ. მამუკა ბატონიშვილი და მისი მომხრე ჩხეიძეები ახალციხიდან ქართლში გადავიდნენ და „სომანეთის ჭალაში“ დადგნენ. ჩხეიძეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართლის მეფე როსტომის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, რომელიც ნოდარ ციციშვილისა და სხვა თავადების თაოსნობით მოეწყო. შეთქმულებს ქართლში იმერეთის ბატონიშვილის – მამუკას გამეფება უნდოდათ. თუმცა, ისინი დამარცხდნენ. მამუკა ბატონიშვილი იძულებული გახდა, ახალციხეში გადასულიყო. მისი მომხრე ჩხეიძეები ქართლში დარჩნენ და მეფე თეიმურაზ I-ის მხარეს იბრძოდნენ, მაგრამ თეიმურაზის მომხრე თავადთა ჯგუფი როსტომ მეფესთან ბრძოლაში დამარცხდა. თავადი ჩხეიძეები მეფე როსტომს ტყვედ ჩაუვარდნენ და მან ისინი ირანს გაგზავნა. რამდენიმე წლის შემდეგ მეფე როსტომმა გიორგი და ოტია ჩხეიძეები ირანიდან ჩამოაყვანინა, მაგრამ ბეჟან და ხუცია ჩხეიძეები ყაენის კარს დარჩნენ. იმ პოლიტიკურ დაჯგუფებებში, რომლებიც მე-17 საუკუნის 30-იან წლებში როსტომ მეფისა და თეიმურაზ I-ის ირგვლივ შეიქმნა, ჩხეიძეები და თავად აბაშიძეთა უმეტესი ნაწილი ქართველობისთვის მებრძოლი თეიმურაზისა და მისი მოკავშირე იმერეთის მეფის – ალექსანდრე III-ის მხარეს იდგნენ. ამ ვითარებაში თავადმა ღონენა აბაშიძემ იმერეთის მეფის ვასალობა აღარ ინება, გათათრებულ როსტომს ეყმო და მისი ერთგული გახდა. ღალატის გამო ღონენა მოაკვლევინა მისივე ძმამ – პაატამ, აბაშიძეთა საგვარეულოს მეთაურმა. როსტომ მეფემ „იწყინა“, რომ მის საბრძანებელში „სხვა ქვეყნიდან“ (იმერეთიდან) ასეთი საქმე ჰკადრეს და 1638 წელს ზემო ქართლის სარდალი იოთამ ამილახვარი პაატას სახლკარისა და მამულის ასაოხრებლად ლაშქრით გაგზავნა. პაატას მამული მართლაც დაარბიეს, ხოლო აბაშიძეთა დამხმარე მეზობელ თავად ბანანა ჩხეიძეს თავი მოჰკვეთეს.

მედიცინა

დასაწყისი წინა ნომერში

გაუფრთხილდით შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს

ჰიპოფიზი და მისი მნიშვნელობა

ჰიპოფიზი ტვინის დანამატია. წონით 0,6 გრამს არ აღემატება, მაგრამ ორგანიზმში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ჰიპოფიზში არჩევენ წინა და უკანა ნაწილებს. წინა ნაწილი ზრდის ჰორმონს გამოიმუშავებს. უკანა ნაწილი კი – ანტიდიურეზიულ (შარდის შემაკავებელ) ჰორმონს. ჰიპოფიზის ფუნქციის დარღვევა მრავალ დაავადებას იწვევს. მათ შორის, გიგანტიზმს, აკრომეგალიას, ქონდრისკაცობას, უშაქრო დიაბეტს და ა.შ.

თუ ჰიპოფიზის წინა ნაწილმა ჰორმონი ნორმაზე ჭარბად გამოიმუშავა, ვითარდება გიგანტიზმი. მოზრდილის ასაკში სიმაღლე ზოგჯერ 2 მეტრს აღწევს. სიმაღლის მიუხედავად, სხეულის აგებულება პროპორციულია.

❖ ❖ ❖



აკრომეგალია – დაავადება თანდათან ვითარდება. დიდდება ფარისებრი ჯირკვალი, ელენთა, ღვიძლი, თირკმელი, გული. გულის კუნთი ამ დროს დასუსტებულია. დაავადება მიმდინარეობს წლების განმავლობაში.

დაავადება იწყება თავის გაუთავებელი ტკივილით, ძვლების და სახსრების ტკივილით, კიდურების დაბუჟებით, სქესობრივი ფუნქციის დაქვეითებით, ხმის დაბოხებით და სხვა. შემდეგ პათოლოგიურად იზრდება კიდურები, ხელის თითები, ტერფები, ქვედა ყბა, ცხვირი, ყურები, ტუჩები, ენა, წარბების არე წინ წამოიწევს. კბილები სცილდება ერთმანეთს.

აუცილებელია ჩატარდეს ჰიპოფიზის რენტგენოთერაპია. ინიშნება ჰორმონალური პრეპარატები. სიმსივნის შემთხვევაში ოპერაციული ჩარევა გარდაუვალია.

ქონდრისკაცობა – ნანიზმი. ვითარდება ჰიპოფიზის წინა ნაწილის ჰიპოფუნქციის შედეგად, რაც შეიძლება თანდაყოლილი პათოლოგია იყოს, ზოგჯერ შეძენილი ხასიათისაა. ორგანიზმის ზრდა ფერხდება, დაპატარავებულია ორგანოები, სასქესო ჯირკვლები განუვითარებელია. გონებრივი განვითარება ასაკს შეესაბამება. მოზრდილი ადამიანის სიმაღლე 120 სმ-ს არ აღემატება. გამოსავალი მხოლოდ ერთია – შეიძლება ჩატარდეს ჰორმონალური მკურნალობა.

❖ ❖ ❖

უშაქრო დიაბეტი

ამ დაავადებას საერთო არ აქვს შაქრიან დიაბეტთან. უშაქრო დიაბეტი ტვინის დანამატის უკანა ნაწილისა და შუამდებარე ტვინის დაზიანების შედეგია. ტვინის ამ ნაწილის დაზიანება იწვევს წყლისა და მარილების ცვლის მოშლას, რის შედეგადაც ვითარდება პოლიდიფსია და პოლიურია. ტვინის დანამატისა და შუამდებარე ტვინის დაზიანების უხშირესი მიზეზია უშაქრო დიაბეტის შემთხვევაში სხვადასხვა ინფექციური დაავადება. ამ დაავადებების გარდა, ჰიპოფიზის და შუამდებარე ტვინის დაზიანება შეიძლება ფსიქიკურმა ტრავმამ, ქალას ტრავმულმა დაზიანებამაც გამოიწვიოს.

ავადმყოფი დღე-ღამის განმავლობაში გამოყოფს 5-დან 20 ლიტრამდე შარდს, შარდის საერთო ანალიზის ჩატარებისას ვლინდება, რომ, შაქრიანი დიაბეტისგან განსხვავებით, უშაქრო დიაბეტის დროს შარდის ხვედრითი წონა დაბალია, რაც შარდში შაქრის არარსებობით არის გამოწვეული. თირკმლის დაავადებებისგან კი იმით შეიძლება განვასხვავოთ, რომ შარდის გამოკვლევისას მასში არ არის პათოლოგიური ელემენტები. შარდის დიდი რაოდენობით გამოყოფა იწვევს ქსოვილების გამოშრობას, გაძლიერებულ წყურვილს – პოლიდიფსიას. ხშირი შარდვისა და წყურვილის გამო ავადმყოფს მოსვენება დაკარგული აქვს, თანდათან ვითარდება საერთო სისუსტე, ავადმყოფს აწუხებს ძლიერი თავის ტკივილი, ღებინება, მხედველობის დაქვეითება. გარდა შარდის ანალიზის ჩატარებისა, საჭიროა თურქული კეხის რენტგენოგრამა, რადგან ჰიპოფიზი თურქულ კეხში მდებარეობს. ავადმყოფის საკვებში მკვეთრად უნდა შემცირდეს მარილის რაოდენობა. წყურვილისა და გაძლიერებული შარდვის შესამცირებლად არსებობს პრეპარატები, რომლებიც მხოლოდ ენდოკრინოლოგის დანიშნულების მიხედვით უნდა მიიღოს ავადმყოფმა.

გაგრძელება იქნება

საზოგადოება

ეროვნული ფოლკლორული ანსამბლი დაარსებულია

საქართველოში ეროვნული ფოლკლორული ანსამბლი დაარსდა. ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეგიდით ქართველი მოღვაწის, ანზორ ერქომაიშვილის ჩანაფიქრი რამდენიმეთვიანი მოსამზადებელი პროცესის შემდეგ განხორციელდა.

ანსამბლი ძირითადად დაკომპლექტებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი საუკეთესო მომღერლებითა და სტუდენტებით. გუნდის წევრები არიან მომღერლები ცნობილი ანსამბლებიდან „ბასიანი“, „რუსთავი“, „ერისიონი“ და „დიდგორი“. მომღერლებმა გუნდში მოსახვედრად სპეციალური შესარჩევი და მოსამზადებელი ეტაპები გაიარეს. პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი დონაძე.

ახალდაარსებულ ანსამბლს, სხვადასხვა სტილისა და კუთხეების გათვალისწინებით, რამდენიმე ლოტბარი ჰყავს. ქართლ-კახურ სიმღერებს ასწავლის გიორგი ხუნაშვილი, სვანურ სიმღერებსა და ფერხულებს – ლიკა ლიპარტელიანი, გურულ და მეგრულ სიმღერებს – სერგო ურუშაძე და გიორგი დონაძე. შეიქმნება გუნდის მრავალფეროვანი მხატვრული სახე და უნიკალურობა, რაც ანსამბლის წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

გუნდი ქართველი მოღვაწის, ანზორ ერქომაიშვილის, იდეის საფუძველზე ძველი ქართული ტრადიციის მიხედვით შეიქმნა, როდესაც გამოცდილ და დამწყებ მომღერლებს ერთად წარადგენდნენ სცენაზე და ახალგაზრდები უშუალოდ შესრულებისას იღებდნენ გამოცდილებას ძველი მომღერლებისგან. ეროვნული ანსამბლის შექმნის მთავარი მიზანია საქართველოს ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელმა მომღერლებმა ერთნაირი წარმატებით შეასრულონ და წარმოაჩინონ როგორც თავიანთი კუთხის, ისე სხვა რეგიონების ფოლკლორი. კუთხეებში, რომლებიც ამ ეტაპზე არ არიან წარმოდგენილნი გუნდში, შერჩევის პროცესი გაგრძელდება და ანსამბლს კიდევ შეემატებიან ნიჭიერი და მონდომებული ახალგაზრდები.

ახალი გუნდის მოსმენა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა. მოსმენის შემდეგ განიხილეს ანსამბლის რეპერტუარი, სამომავლო საქმიანობა და კულტურის სამინისტროსგან, ფოლკლორის ცენტრისა და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის შესაძლებლობები.

რეგიონის სალოტბარო სკოლების უამრავი კურსდამთავრებული თბილისში, გიორგი მთაწმინდელის გალობის უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას, რამაც გააჩინა სურვილი, შექმნილიყო გუნდი, რომელშიც საქართველოს კუთხეების წარმომადგენლები 30 სკოლიდან გაერთიანდებოდნენ. ანსამბლის დაარსება ხელს შეუწყობს მომღერლების მიერ საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორის სათანადოდ წარმოჩენასა და განვითარებას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბაიდენი: „ამერიკის ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორია“

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ ამერიკის ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორია. შესაძლოა სამართალში თავად პრეზიდენტიც მისცენ. ამისი იმუნიტეტი მას არა აქვს. ამით ბაიდენმა ექსპრეზიდენტ ტრამპზე მიანიშნა, რომელსაც ბრალი ედება რიგ მძიმე დანაშაულში.

ტრამპის წინააღმდეგ 91 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

რომის პაპი ღაზას მოსახლეობას იცავს

რომის პაპმა ფრანცისკმა ტრადიციულად საშობაო მიმართვით მიმართა მორწმუნეებს. მან განაცხადა, რომ ღაზას მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარების მიღების საშუალება უნდა მიეცეს.

ევროკავშირი უკრაინას 50 მილიარდ ევროს გამოუყოფს

ევროკავშირი უკრაინას 50 მილიარდ ევროს გამოუყოფს. ამის შესახებ განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კულებამ. მისი თქმით, გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და იურიდიულად მომავალი წლის იანვარში გაფორმდება.

სად არის ნავალნი?

რუსი ოპოზიციონერი ნავალნი ჩრდილოეთში, დაბა ხარპის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში იმყოფება. ამის შესახებ იუწყება რადიო „თავისუფლება“.

– დაბა ხარპი ჩრდილოეთის პოლარული წრიდან 60 კმ-ის დაშორებითაა, – გვამცნობს რადიო „თავისუფლება“.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.899, საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 10.956, თვითმფრინავები – 329. განადგურებულია 354.960 ოკუპანტი.

უკრაინის ავტოკეფალიურმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ შობა იზეიმა

უკრაინის ავტოკეფალიურმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ შობის ბრწყინვალე დღესასწაული აღნიშნა. ავტოკეფალიური ეკლესიის თავკაცმა, მიტროპოლიტმა ეპიფანემ კიევის წმინდა მიხეილის ტაძარში წირვა აღავლინა.

მეორე მართლმადიდებლური ეკლესია ფორმალურად რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოვიდა, მაგრამ რეალურად ის კვლავ ინარჩუნებს მოსკოვთან კონტაქტებს. ეს ეკლესია შობას 7 იანვარს აღნიშნავს.

უკრაინულმა სახელმწიფომ შობა 25 დეკემბერს აღნიშნა. პრეზიდენტმა ზელენსკიმ შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მოსახლეობას სიტყვით მიმართა და შობა მიულოცა.

შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით არმიას მიმართა მისმა სარდალმა, გენერალმა ზალუჟნიმაც. მან განაცხადა, რომ უკრაინის თავისუფლებისათვის ბრძოლა გრძელდება და მომავალ 2024 წელსაც გაგრძელდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ქალი ფინჯანი ყავის წყალობით გამდიდრდა

აშშ-ში ქალმა კაფეში ყოფნის დროს ლატარიის ბილეთიც იყიდა და სოლიდური თანხა მოიგო.

ბედმა მასაჩუსეტსის შტატის მცხოვრებ მარი ასევედო ვალდესს გაუღიმა. დილით, სამსახურში წასვლის წინ, ქალმა ავტოგასამართ სადგურზე შეიარა და ყავის დასალევად იქ მდებარე კაფეში შევიდა. შეკვეთის მიცემის დროს მან ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა და 20-დოლარიანი ბილეთი შეიძინა.

მალე გაირკვა, რომ ამ გადაწყვეტილების წყალობით ვალდესი მილიონი დოლარით გამდიდრდა. ქალის თქმით, თავს ბედნიერად და დალოცვილად გრძნობს. მან გადაწყვიტა, მოგებული თანხა ერთიანად აეღო და არა ეტაპობრივად, ამის შედეგად გადასახადების გასტუმრების შემდეგ ვალდესმა 650 ათასი დოლარი მიიღო. მისი თქმით, ის მოგებულ თანხას ოჯახის საჭიროებებისთვის გამოიყენებს.

იმ ავტოგასამართი სადგურის თანამშრომლები, სადაც მომგებიანი ბილეთი გაიყიდა, ლატარიის ორგანიზატორებისგან ბონუსის სახით 10 ათას დოლარს მიიღებენ.

მამაკაცმა ცოლს მზითევის გამო ცხვირი მოაჭამა

ინდოეთში მამაკაცმა ცოლს იმის გამო, რომ მისი ოჯახისგან აღთქმული მზითევი ვერ მიიღო, სცემა და ცხვირი მოაჭამა.

აღნიშნული ინციდენტი უტარ-პრადესის შტატის ქალაქ ბარელის რაიონში მდებარე სოფელ მახეშპურში მოხდა. გოგონა, სახელად ნაჯმი, მამაკაცს, სახელად ნაზიმს, 2022 წელს გაჰყვა ცოლად. წყვილს შეეძინა ბიჭი, რომელიც ამჟამად ხუთი თვისაა. მთელი ამ დროის მანძილზე მამაკაცი ქალზე ნათესავებთან ერთად ზეწოლას ახდენდა, სახლიდან აგდებდა და მოითხოვდა მისთვის გარკვეული ქონების გადაცემას მზითვის სახით.

სოფლის უხუცესთა ჩარევის წყალობით, ცოლ-ქმრის შერიგება ხერხდებოდა. მაგრამ 15 დეკემბერს ნაზიმი კვლავ შეეცადა ნაჯმისთან ურთიერთობის გარკვევას. მან ქალს სცემა, ხოლო როდესაც მან წინააღმდეგობის გაწევა სცადა, ცხვირი მოაჭამა და ანგარიშსწორებით დაემუქრა.

ამ დროისთვის ნაჯმი საავადმყოფოში იმყოფება. მან განცხადება დაწერა ქმარსა და მის ხუთ ნათესავზე. ნაზიმი, დედამისი რეხანა და მამამისი მაჯიდ ჰუსეინი დაპატიმრებულები არიან. გამოძიება გრძელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

გერმანელმა პრინცესამ მაკდონალდსს სასამართლო მოუგო

მაკდონალდსის ფასტფუდ-რესტორნების ქსელი გერმანელ პრინცესას უზარმაზარ კომპენსაციას გადაუხდის.

49 წლის კარლა ფონ ჰესენმა, ძველი ჰესენური არისტოკრატიული სახლის წევრმა, საერთაშორისო ფასტფუდ რესტორნების ქსელს 14,2 მილიონი ევროს ოდენობის კომპენსაცია მოუგო. აღნიშნული თანხა ხანგრძლივი სასამართლო დავის შედეგად იქნა მიღებული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალის მმართველობაში ქალაქ ინგოლმშტადტში მაკდონალდსის ოთხი რესტორანი იმყოფებოდა, რომელსაც თავის ყოფილ მეუღლე პრინც ოტო ფონ ჰესთან ერთად ხელმძღვანელობდა, რომელსაც 2007 წელს დაშორდა. 2020 წელს მამაკაცი სერიოზულ ავტოკატასტროფაში მოყვა და დაიღუპა. ამის შემდეგ კარლა ფონ ჰესენმა გადაწყვიტა, მარტოს გაეგრძელებინა ბიზნესი, მაგრამ კომპანიის ამერიკელმა მფლობელებმა მას კონცესიის გაგრძელებაზე უარი უთხრეს.

ფონ ჰესმა სასამართლოს მიმართა. საქმის სასამართლო განხილვა 3,5 წელი გაგრძელდა. ოთხშაბათს, 20 დეკემბერს, სასამართლომ მაკდონალდს პრინცესასთვის კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

მამაკაცის მიერ ნაპოვნი მინის ნაჭერი მსხვილი ალმასი აღმოჩნდა

აშშ-ში ეროვნულ პარკში სეირნობის დროს მამაკაცმა მსხვილი ძვირფასი ქვა იპოვა.

ბედმა არკანზასის შტატის ქალაქ ლეპანტოს მცხოვრებ ჯერი ევანსს გაუღიმა, რომელიც თავის ცხოვრებაში პირველად იმყოფებოდა ეროვნულ პარკ „ალმასების კრატერში“ დასასვენებლად. მისი აღიარებით, ის მიწიდან კრეფდა ყველაფერს იმის იმედით, რომ ალმასს გადააწყდებოდა. სხვადასხვა საგნებთან ერთად მან იპოვნა საგანი, რომელიც უბრალო მინის ნატეხად მიიჩნია.

პარკის შემოვლა-დათვალიერების შემდეგ ევანსმა მაინც გადაწყვიტა, თავისი ნაპოვნი შეემოწმებინა და ის ამერიკის ჰემოლოგიურ უნივერსიტეტს გადაუგზავნა. რამდენიმე კვირის შემდეგ კი გაირკვა, რომ „მინის ნაჭერი“ 4,87 კარატიანი ნამდვილი ალმასი აღმოჩნდა.

– როდესაც დამირეკეს და მითხრეს, რომ ნამდვილი ალმასი ვიპოვე, გავოგნდი და ამავე დროს აღვფრთოვანდი, – განაცხადა ევანსმა.

ის ამის შემდეგ ეროვნული პარკის „ალმასების კრატერის“ დირექციას დაუკავშირდა ნაპოვნი ალმასის ოფიციალურად დასარეგისტრირებლად.

ქალმა კაფეში ორი საათის მუშაობის შემდეგ სალაროდან ფული მოიპარა და წავიდა

ამერიკის ჯორჯიის შტატში ქალმა ორი საათი ოფიციანტად წაიმუშავა კაფეში იმისთვის, რომ მისი სალაროდან ფული მოეპარა.

აღნიშნული ინციდენტი ქალაქ რივერდეილში 12 დეკემბერს მოხდა. ქალი დილით ერთ-ერთ კაფეში მივიდა, თავი ოფიციანტად გაასაღა და კლიენტების მომსახურებას შეუდგა.

ორი საათის მუშაობის შემდეგ მან პლანშეტზე წვდომას მიაღწია, რომელიც დაწესებულების სალაროს აღებდა, შემდეგ იქიდან მთელი თანხა ამოიღო და წავიდა. მისი ქმედება კაფეს სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს.

ადგილობრივ პოლიციაში განაცხადეს, რომ დამნაშავის ვინაობა დადგენილია, თუმცა მის დაპატიმრებამდე მისი გამხელა არ მოხდება. სამართალდამცავებმა მოქალაქეებს, რომელთაც გამოძიებისთვის დახმარების გაწევა შეუძლიათ, მათთან დაკავშირების თხოვნით მიმართეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ლუქსემბურგის ნაკრები საქართველოს უფრთხის და ემზადება

მომავალი წლის 21 მარტს, ევრო 2024-ის ფლეი ოფში საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგს უმასპინძლებს. თავის მხრივ, ამ წყვილში გამარჯვებული 26 მარტს საბერძნეთ-ყაზახეთს შორის გამარჯვებულს საკუთარ ქვეყანაში უმასპინძლებს, რაც ნიშნავს, რომ ევროპირველობაზე გასვლის შანსი მეტი ექნება, ვიდრე სტუმრად გამართულ შეხვედრაში.

ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაცია უკვე მუშაობს და ნაკრების მთავარ მწვრთნელ ლუკ ჰოლცს, რომელიც ამ თანამდებობაზე 2010 წლიდან მუშაობს, კონტრაქტის გახანგრძლივებაზე შეუთანხმდა. ეს გასაკვირიც არ არის – ჰოლცის ხელში ლუქსემბურგელებს სერიოზული პროგრესი აქვთ.

ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაცია მიიჩნევს, რომ ჰოლცმა გამოცდას გაუძლო და კონტრაქტის განახლების დრო დაუდგა. შედეგად, ორივე მხარე შეთანხმდა და კონტრაქტი 2025 წლის ბოლომდე, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასრულებამდე იმუშავებს.

– დრო ხშირად ფეხბურთის მწვრთნელების წინააღმდეგ მოქმედებს. მისი სიტყვა აღარ ჭრის, გუნდი კომფორტის ზონიდან გადის, მეთოდები დაძველდა... ბევრი არგუმენტი ჩნდება, რომლის გამო ნაკრებსა და მწვრთნელს შორის უფსკრული გაიზარდა. ამ ბუნებრივ კანონს მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტი გადაურჩა.

ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაციამ მიიჩნია, რომ ჰოლცმა ამ გამოცდას გაუძლო. ვფიქრობთ, კონტრაქტის განახლების დრო დადგა და ამის არგუმენტებიც გვაქვს. თავად მწვრთნელმა მოსაფიქრებლად დრო მოითხოვა, რადგან რამდენიმე კლუბი დაუკავშირდა. თუმცა, კონტრაქტის დასრულებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ჰოლცმა ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაციას თანხმობა განუცხადა და ხელი ახალ ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა. შესაბამისად, 2025 წლის დეკემბრამდე და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასრულებამდე იმუშავებს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია იქიდან გამომდინარე, რომ გუნდი ევრო 2024-ის ფლეი ოფის მატჩებისთვის უნდა მოამზადოს. ჩვენთვისაც, ფედერაციისთვის, ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო. საქართველოს ნაკრებთან გასამარჯვებლად გვჭირდება სტაბილურობა და იმედია, გავალთ 26 მარტს დანიშნულ ფინალში, სახლში საბერძნეთს ან ყაზახეთს რომ ვუმასპინძლოთ.

ჰოლცი ნაკრების ხელმძღვანელად 2010 წლის აგვისტოში დაინიშნა. ახლა მის წინაშე ბევრად რთული, მაგრამ საინტერესო ამოცანაა. ლუქსემბურგის ნაკრები სწავლობს, ქულებს აგროვებს და ძველ კონტინენტს აიძულებს, ჩვენზე ილაპარაკოს. ჰოლცს უკვე ბევრად მეტი მოეთხოვება. იმედია, ვითამაშებთ დიდ ტურნირზე, რასაც მთელი ქვეყანა ელის.

ეს მუდმივი პროგრესი ხელს არ გვიშლის, რომ მწვრთნელი ექსპერიმენტული მიდგომის, თუ ლუქსემბურგის ლიგის ისეთი მოთამაშეების ბოიკოტის გამო გავაკრიტიკოთ. არიან ფეხბურთელები, რომლებიც გულშემატკივრებში პოპულარობით სარგებლობენ, მაგრამ მწვრთნელი ნაკრებში არ იწვევს. ასეთები არიან არტურ აბრეუ ან ბენჟამინ ბრეში. თუმცა, გამარჯვებული მწვრთნელი ყოველთვის მართალია.

ჰოლცი ასეთია და ფედერაციამ ევრო 2024-ის ფლეი ოფში ნაკრების ხელმძღვანელობა დაავალა.

ასეთია ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაციის აზრი.

თავად ჰოლცმა საქართველოსთან მარტში გასამართი ევრო 2024-ის თბილისური ნახევარფინალის თაობაზე ისაუბრა.

– უახლოეს მომავალში გვექნება შეხვედრა სკაუტთან, ვინც საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩები გააანალიზა. ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია ყურადღებით გავარჩიოთ პოტენციური მეტოქეების, საბერძნეთისა და ყაზახეთის უპირველესი გუნდების მიერ ჩატარებული თამაშებიც.

სერიოზულად ვფიქრობთ ევროპის ჩემპიონატზე და თავს ვერ მივცემთ იმის ფუფუნებას, სამზადისი მარტში დავიწყოთ, რადგან უკვე დაგვიანებული იქნება.

მაქვს შემუშავებული კონკრეტული გეგმა და თუ საქართველოში ამ გეგმით ჩავალთ, მჯერა, ხასიათი მალე არ გაგვიფუჭდება. არის გარკვეული ასპექტები, რომელსაც შეუძლია, გავლენა მოახდინონ სიტუაციაზე და ყველანაირად ვცდილობთ, არაფერი გამოგვეპაროს და ყველაფერი გავითვალისწინოთ.

როგორც ვიცით, საქართველოში ტრანსპორტირება შედარებით რთული საკითხია. ლუქსემბურგის ქალთა ნაკრებს სტადიონისკენ გზად, სადაც მატჩისწინა ბოლო წვრთნა უნდა ჩაეტარებინა, ბევრად მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე თავდაპირველად იყო გათვალისწინებული.

საქართველოში ჩავალთ ცოტა ადრე და ბოლო ვარჯიშს იქ გავმართავთ. ფეხბურთელებს ტაქტიკურ ინსტრუქციებს სიტყვიერად მივცემ. თბილისში ჩვენი ვარჯიში ღია იქნება და ამაზე იქ ვერ ვიმუშავებთ.

ამასობაში ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაციამ უეფას გადაწყვეტილებაც გაასაჩივრა, რომლის თანახმადაც, ქვეყნის ეროვნული ნაკრების ლიდერმა დანელ სინანიმ გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მარტის მატჩები უნდა გამოტოვოს. საინტერესო ის არის, რომ ლუქსემბურგელები საქართველოსთან თამაშზე კი არა, უკვე მომავალ მატჩზე ფიქრობენ.

შეგახსენებთ, გერმანული ზანკტ პაულის შემტევმა დანიაელ სინანმა ლიხტენშტაინთან არაფრის მომცემ თამაშში წითელი ბარათი მიიღო და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. სინანი საქართველოსთან ნახევარფინალურ მატჩს უეჭველი გამოტოვებს, მაგრამ ჩვენს მეტოქეს იმის იმედი აქვს, ფინალში ითამაშებს.

– სინანის გაძევების ეპიზოდი რამდენჯერმე ვნახე და ვფიქრობ, მსაჯმა საკამათო გადაწყვეტილება მიიღო. მთავარია, რომ იმ მომენტში დანელს განზრახ არ უუხეშია და ცდილობდა, ბურთზე ეთამაშა. სწორედ ამიტომ, ვთვლი და მჯერა კიდეც, რომ უეფა დათმობაზე წამოვა. ცხადია, არ გვაქვს იმედი, რომ სინანს დისკვალიფიკაციას გაუუქმებენ, თუმცა, ერთი თამაში კი უნდა მოაკლონ. ამ შემთხვევაში, ფინალში უძლიერესი შემადგენლობით ვიქნებით. მეტსაც გეტყვით, მტკიცედ მწამს, რომ გადამწყვეტ მატჩში, რომელიც შინ გვიწევს, დანელი ჩვენთან ერთად იქნება.

შეგახსენებთ, საქართველო-ლუქსემბურგის მატჩი 21 მარტს თბილისში გაიმართება.

ხელბურთელთა ნაკრები ისტორიული სეზონისთვის ემზადება

10 იანვარს გერმანიაში ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატი იწყება, რომელიც საქართველოს ნაკრებისთვის ისტორიული იქნება – ტიტე კალანდაძის გუნდი კონტინენტის უმთავრეს ფორუმზე პირველად ითამაშებს.

საქართველოს ნაკრების ჯგუფში შვედეთის, ნიდერლანდებისა და ბოსნიის ნაკრებებიც არიან. ვერავინ იტყვის, რომ ამ ჯგუფიდან უნდა გავიდეთ. მეტიც, მესამე ადგილიც კი, უკვე კარგი შედეგი იქნება.

ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გუნდი თბილისში ერთი კვირის წინ შეიკრიბა, სადაც ეტაპობრივად დაემატნენ ლეგიონერები. შემადგენლობაში არის დანაკლისიც – ევროპის ჩემპიონატი ნიკოლოზ კალანდაძისა და ირაკლი ჩიქოვანის გარეშე ჩაივლის.

26 დეკემბერს კი, გუნდი რუმინეთში გაემგზავრება, სადაც „კარპატის თასზე" ითამაშებს. ჩვენები, მასპინძლების გარდა, საბერძნეთისა და სლოვაკეთის ნაკრებებს გაეჯიბრება, რის შემდეგ საქართველოში დაბრუნდება. თუმცა, ეს არ იქნება ბოლო ამხანაგური მატჩები – დაგეგმილია სლოვენიური შეკრებაც, სადაც ქუვეითისა და საუდის არაბეთის ნაკრებებს ვეთამაშებით.

9 იანვარს გუნდი უკვე გერმანიაში გაემგზავრება, სადაც პირველ მატჩს 11 იანვარს ნიდერლანდების ნაკრებთან გამართავს.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ახალი, „მაკრონის" ფირმის ფორმებიც წარადგინეს.

პრესკონფერენციას ფედერაციის ხელმძღვანელების და ნაკრების მოთამაშეების გარდა, ვეტერანი ხელბურთელებიც ესწრებოდნენ.

ვახტანგ მეიფარიანი, ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

– გასულ წელს, როდესაც ნაკრების ახალი მწვრთნელთა შტაბი დავნიშნეთ, წარმოადგინა ხედვები, რომელიც გუნდის გაახალგაზრდავებისა და მზადების პროცესის გარდა, სათამაშო ტაქტიკასა და სტილის განმსაზღვრელიც იყო. განვიხილეთ გეგმა, მოვიწონეთ და პირველივე მატჩში დავრწმუნდით, რომ სწორი გზით მივდიოდით. ერთია, გვაკლდა სტაბილურობა, გვქონდა ჩავარდნებიც, ფორტუნაც გარკვეულწილად ჩვენს მხარეს არ იყო, მაგრამ ბოლო ტურში დავამარცხეთ უნგრეთი და ისტორიაში პირველად გავედით ევროპის ჩემპიონატზე. რისთვისაც დიდი მადლობა მწვრთნელსა და ბიჭებს.

ლევან სალუქვაძე, ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:

– სასიამოვნოა, როდესაც ერთმანეთს კარგ ამბავზე ვხვდებით. გვქონდა რთული პერიოდი, მაგრამ ამ ბიჭებმა გულშემატკივარი ხელბურთისკენ შემოაბრუნეს. ტიტე, როგორც მწვრთნელი, ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაეწერა, ხოლო ეს ბიჭები პირველები არიან, ვინც ასეთ დიდ ფორუმზე მოხვდნენ. ჟურნალისტებთან ერთადერთი თხოვნა მექნება – ეს მაგარი ბიჭები საზოგადოებას უფრო ფართოდ გააცნონ, რაც ძალიან აკლიათ.

ტიტე კალანდაძე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– ორი კვირაა დარჩენილი იმ შესანიშნავ დღემდე, რასაც ევროპის ჩემპიონატი ჰქვია. ამ ბიჭებმა შეძლეს ის, რაც 32 წლის მანძილზე ვერავინ გააკეთა და მთელ გუნდს მინდა ვუსურვო კარგი თამაში. ჩვენთვის მთავარი იქნება შევინარჩუნოთ ის თამასა, რასაც აქამდე მივაღწიეთ. ასევე გვინდა შევინარჩუნოთ ჩვენი, ქართული სტილი. დაახლოებით კვირაზე მეტია შეკრებაზე ვართ, სადაც ეტაპობრივად ლეგიონერებიც შემოგვიერთდნენ. საწყენია, რომ ევროპის ჩემპიონატზე არ გვეყოლება ნიკოლოზ კალანდაძე და ირაკლი ჩიქოვანი. თუმცა, ამ ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ მათ გარეშეც ყველაფერი შესაძლებელია.

პირველი გენერალური რეპეტიცია რუმინეთში გვექნება. იქ გამოჩნდება, რა მინუსები და პლუსები გვაქვს, რაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი და რა უნდა გამოვასწოროთ. რუმინეთში ამის კარგი შანსი გვაქვს, რადგან ძალიან კარგი შემადგენლობა მოიყრის თავს. „კარპატის თასის" მსგავს ტურნირებზე ჩვენ აქამდე არც კი გვეძახდნენ, მაგრამ ახლა უკვე ყველასთვის სასურველი სპარინგ-პარტნიორები ვართ და ეს ამ ბიჭების დამსახურებაა. ორი ამხანაგური მატჩი გვექნება სლოვენიაშიც ქუვეითისა და საუდის არაბეთის ნაკრებებთან. ყველა ეს გუნდი რეიტინგში ჩვენზე წინაა და ასეთ მატჩებში უნდა ვისწავლოთ მაღალ დონეზე თამაში.

რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ჯგუფში სერიოზული მიზნები არ გვაქვს, მაგრამ მთავარია ჩვენი იდენტობა და თამასა შევინარჩუნოთ. ჯერ ახალგაზრდა, მზარდი გუნდი ვართ, მაგრამ გამოუცდელები. ზედიზედ რამდენიმე ასეთი ტურნირი გვინდა და ეს გამოცდილებაც მოვა. 2-3 წელიწადში უკვე შეგვეძლება პრეტენზიები გვქონდეს. გვყავს დიდი ტალანტის მქონე მოთამაშეები.

საქართველოს ნაკრები რუმინეთში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება:

მეკარეები: ზურაბ ცინცაძე, დავით ნიქაბაძე;

წინა ხაზი: გიორგი ცხოვრებაძე, ერეკლე არსენაშვილი, გიორგი დიხამინჯია, ირაკლი კბილაშვილი, თეიმურაზ ორჯონიკიძე, სანდრო დარსანია, მირიან გავაშელიშვილი, ზურაბ გოგავა, ხაზეინ რუსტამოვი, ზურაბ აბრამიშვილი, გიორგი გოგოლაძე, ნიკოლოზ ლაპიაშვილი, ზურიკო, გიორგი არეშიძე, ნიკოლოზ კალანდაძე.

ჩემპიონი გუნდი იშლება და ივსება

გასაკვირი ამბავია და გასული სეზონის საქართველოს ჩემპიონ ბათუმის დინამოს ბევრი ფეხბურთელი დატოვებს. გასაკვირი იმიტომ, რომ ჩემპიონი გუნდი, ფაქტობრივად, იშლება.

სავარაუდო მიზეზი ევროთასებზე არასრულფასოვანი გამოსვლა უნდა იყოს. თუმცა, აქაც ჩნდება კითხვები – ძლიერდება კი გუნდი ისე, რომ ბევრად უკეთესი შედეგი აჩვენოს, ვიდრე გასულ წელს. ჯერ კონკრეტული ინფორმაციები არ არის, მაგრამ გავრცელებული ხმები გარკვეულ მოსაზრებებს გვიტოვებს.

ამ ეტაპზე კონკრეტული მხოლოდ ის არის, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი ჯოვინო ფლამარიონი ფრანგულ ვალენსიენში გადავიდა.

ცნობილია ისიც, რომ კონტრაქტის დასრულების შემდეგ თორნიკე კაპანაძემ კლუბი დატოვა. იყო საუბარი გიორგი წიტაიშვილის წასვლაზეც, მაგრამ კონტრაქტი აკავშირებს და რჩება.

ახლა წამსვლელებზე: სიაშია ბენჯამინ ტეიდი, ასევე სიაშია გასული სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გიორგი ზარია, რომელსაც ევროპაში სურს კარიერის გაგრძელება. ამ მიზნით გუნდი ირაკლი ბიძინაშვილმაც დატოვა.

წასულების სიაში არიან: მეკარეები გიორგი ბეგაშვილი და ანტონ ჩიჩკანი; მცველები – გრიგოლ ჩაბრაძე, გიორგი რეხვიაშვილი და საშა ბალიჩი; დანიელი ნახევარმცველი ალექსანდარ იაკობსენი და თავდამსხმელი მათე ვაწაძე.

ასევე გავრცელებული ხმებით, ბათუმის დინამოში ითამაშებენ გორის დილას ფეხბურთელები – საყრდენი ნახევარმცველი ალეფ სანტოსი, მარცხენა მცველი ვანდერსონ სილვა და გარემარბი ონორე გოისი. ასევე თბილისის დინამოს ნახევარმცველი ბარნს ოსეი. ზღვისპირელებს ასევე დინამოელი დავით სხირტლაძეს გადაბირებაც სურთ.

ცოტა უცხოელებზეც: მოლაპარაკება მიმდინარეობს ტირასპოლის შერიფის კამერუნელ ცენტრალურ მცველ გაბი კიკისთან და ტოგოს ნაკრების თავდამსხმელ ულოგე პლაკასთან.

ეს ყველაფერი მთავარი მწვრთნელის ანდრეი დემჩენკოს გადაწყვეტილებაა, რომელიც დინამოში კიდევ 2 წლით იმუშავებს.

დემჩენკომ კი, ორი შეკრება უკვე დაგეგმა: პირველი იქნება 20 იანვრიდან 2 თებერვლამდე, ხოლო მეორე – 6-22 თებერვალს. ორივე თურქეთში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 2. შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები უძველესი ქართული ტომი; 3. გემის, თვითმფრინავის ტარების სპეციალისტი; 4. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 7. მარმარილოსა და ეგეოსის ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. მდინარე გაგრაში; 12. ელექტრონავიგაციური ხელსაწყო გემზე, რომელიც ავტომატურად აღნუსხავს გემის მიერ განვლილ გზას; 14. რაიმე სიდიდეების შეფარდების გამომსახველი გრაფიკული ნახაზი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 19. ჩეხური მოტოციკლეტი; 20. ადამიანის გარემომცველი ბიოველი.

თარაზულად: 5. ხალხური სიმღერებისა და ცეკვების თემებზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები; 6. ტკბილი წვენების გაჯერება ნახშირმჟავა აირით; 9. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 10. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 11. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 15. იაპონელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 18. კუთხე საქართველოში; 21. ორკუზიანი აქლემი; 22. უაზრობა, სისულელე; 23. ნახშირის სახატავი ფანქარი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ექსტაზი; 2. კურუ; 3. შოლცი; 4. ანდაზა; 6. ხანჯლური; 9. ტოშიბა; 13. შუშპარი; 14. სუარესი; 15. ჰარარე; 17. ჰერიო; 18. რენტა; 20. ჯარა;

თარაზულად: 1. ევკომია; 5. კირხე; 7. ჯონსონი; 8. სორბიტი; 10. ომანი; 11. ციტრა; 12. თუშეთი; 16. სუბარი; 17. ჰიჯრა; 19. შინი; 21. ვალაბი; 22. ფიესტა; 23. თეზისი; 24. ქიმერა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაიდენი; 2. ქიზიყი; 3. პროქტიტი; 4. რადიკალი; 7. ქამელეონი; 8. პლესეცკი; 12. ესპანეთი; 14. ვოლფრამი; 16. ბეითალი; 17. წაღვერი; 19. აზია; 20. ვაჩა.

თარაზულად: 5. კარაკასი; 6. ჯვრისწერა; 9. მელასა; 10. ყლორტი; 11. ცეკვა; 13. ასაპი; 15. დომინო; 18. თერძი; 21. ფანატიზმი; 22. ანდანტე; 23. კახიანი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

27 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6908	ევრო — 2.9645
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4162	100 რუსული რუბლი — 2.9146

ამინდის პროგნოზი 27 დეკემბრისათვის

ჯუდ ბელინგემი: „მინდა, რომ რეალთან ერთად ყველა ტიტული მოვიგო“

„მადრიდის რეალის ინგლისელმა ნახევარმცველმა ჯუდ ბელინგემმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სურს, რეალთან ერთად ყველა ტიტულის მოგება და მისი აზრით, წელს ეს შესაძლებელია:

– რეალმა უკვე აჩვენა თავისი ძალა და ვიცი, რომ ჩვენ შეგვიძლია ტიტულების მოგება. ჩემპიონთა ლიგა განსაკუთრებული ტურნირია და იქ გამარჯვება ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა.

კილიან მბაპე შესაძლოა ბარსელონას ფეხბურთელი გახდეს

პსჟ-ს სუპერ ფორვარდი კილიან მბაპე სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი გახდება და ის გუნდში დარჩენას არ აპირებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მბაპეს რამდენიმე ვარიანტი აქვს და ერთ-ერთი ბარსელონაა, თუმცა ბარსელონას გაუჭირდება მბაპესთვის მაღალი ხელფასის გადახდა და ეს გარემოება ჯერჯერობით მის ტრანსფერს აფერხებს. თვითონ მბაპეს სურს ბარსელონაში თამაში და ყველაფერი ზაფხულში გადაწყდება.

ხვიჩა კვარაცხელია ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო დრიბლიორია

ხვიჩა კვარაცხელია ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო დრიბლიორად დასახელდა და როგორც სტატისტიკოსებმა დაითვალეს, მან 46 წარმატებული დრიბლინგი განახორციელა, რაც ორით მეტია კილიან მბაპეზე, რომლის ანგარიშზეც 44 წარმატებული დრიბლინგია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ხვიჩას ყველაზე კარგი ტექნიკა აქვს ამ ტურნირში, რაც, ბუნებრივია, დიდი მიღწევა და აღიარებაა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

თურქი მსახიობი ემრე კიზილირმაკი „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ გამოეთიშა

ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მე-12 სეზონი ფინალს უახლოვდება და კონკურსანტებიც სულ უფრო ცოტანი რჩებიან.

ქართული ტური ყველა კონკურსანტისთვის წარმატებული აღმოჩნდა, შოუ არავის დაუტოვებია, მომდევნო საკონკურსო ტურში კი მონაწილეებს წინა სეზონის ვარსკვლავები დაემატნენ. საცეკვაო ნომრები 3-მა მოცეკვავემ წარმოადგინა. შოუში ჩაერთნენ ანა ამილახვარი, ამიკო ჩოხარაძე, სალომე ფაჟავა, დათო თარგამაძე, ნიკო ნანიტაშვილი და გიგა კვენტაძე.

დათუნა მგელაძემ ცეკვა ტანგო კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას ამავე სახელწოდების სიმღერის პრემიერაზე შეასრულა. პრემიერას კომპოზიტორიც ესწრებოდა. დათუნამ ჟიურისგან კარგი შეფასება დაიმსახურა.

საკონკურსო ტურის დასრულების შემდეგ, წამყვანებმა გავარდნის კანდიდატები დაასახელეს. ყველაზე ცოტა ხმა ემრე კიზილირმაკისა და ელენე დავითაიას წყვილმა და მარიამ ჩიტაძისა და რატი გაჩეჩილაძის წყვილმა დაიმსახურეს. ბოლო ერთწუთიანი ხმის მიცემის დასრულების შემდეგ კი შოუ თურქმა მსახიობმა დატოვა.

სალომე დემურია ევროპული კინოს ამომავალ ვარსკვლავად დასახელდა

ქართველი მსახიობი სალომე დემურია რეჟისორ რუსუდან გლურჯიძის ფილმში „ანტიკვარიატი“ შესრულებული როლისთვის ევროპული კინოს „ამომავალ ვარსკვლავებს“ შორის დასახელდა!

პროგრამა „ევროპული კინოს პრომოუშენის“ მიერ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში ხორციელდება. ამ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სალომე დემურიას კანდიდატურა ეროვნულმა ცენტრმა წარადგინა.

ახალგაზრდა ვარსკვლავების ათეული „ევროპული კინოს პრომოუშენმა“ გამოაქვეყნა, გადაწყვეტილება კი კინოინდუსტრიის საერთაშორისო ექსპერტებისგან შემდგარმა ჟიურიმ მიიღო.

ბერლინის 74-ე საერთაშორისო კინოფესტივალის მსვლელობისას სალომე დემურიას თავის უცხოელ კოლეგებთან ერთად შესაძლებლობა ექნება, პირისპირ შეხვდეს კასტინგის წამყვან დირექტორებს, პროდიუსერებსა და რეჟისორებს, 19 თებერვალს კი მას ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე „ევროპელი ამომავალი ვარსკვლავის ჯილდოს“ გადასცემენ.

„ევროპული კინოს პრომოუშენი“ საერთაშორისო ქსელია, რომელიც 30 ქვეყნის კინოორგანიზაციებს აერთიანებს. მათ შორის საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრიცაა.

ნიკოლოზ რაჭველი დათო გორგილაძის გადაცემის დახურვას აპროტესტებს

დათო გორგილაძის გადაცემის „აუტანელი სიმსუბუქის“ პირველი სტუმარი ნიკოლოზ რაჭველი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მის დახურვას აპროტესტებს:

– ხომ მაქვს უფლება, აზრი გამაჩნდეს? მოკრძალებული, მაგრამ გულწრფელი... ჰოდა, დათო გორგილაძის „აუტანელი სიმსუბუქის“ დახურვამ ძალიან დამწყვიტა გული. მე სულ სულ პირველი სტუმარი ვიყავი და მაქვს სუბიექტური დამოკიდებულებაც, თავად დათო მიყვარს, თეკლა ძალიან ძვირფასია (რეჟისორი) და მთელი გუნდი, ვინც გადაცემაზე მუშაობდა, მაგრამ შორი პლანიდან რომ ვუყურებ, ვხვდები, რომ ველოდებოდი მის საუბარს ყოველ ახალ რესპონდენტთან და ძალიან მსიამოვნებდა თითოეული გადაცემის ნახვა. რამდენიმეზე სრულიად გავგიჟდი, მათ შორის, ჩემს მეგობრებთან ინტერვიუებზე, როცა კიდევ უფრო მეტი გავიგე ან მეტად გავუგე ასეთ ახლო ადამიანებს!

მოკლედ, ამ პროექტმა გაამართლა და თუ რეიტინგი უფრო ნაკლები აქვს, ვიდრე, მაგალითად [illegible] ჯაჯანიძის გადაცემას ან ოდესღაც მაიას პროფილს, ეგ ჩემთვის არ [illegible]ერს ცვლის. ცხადია, ბეთჰოვენზე მეტი მსმენელი ბრიტნი სპირსს უყავს და მერე? მეტი არაფერი!

ირაკლი კაკაბაძე თეა წულუკიანს დაუპირისპირდა

პოეტი ირაკლი კაკაბაძე კულტურის მინისტრს თეა წულუკიანს დაუპირისპირდა. მწერალთა სახლში გამართულ ლიტერატურული კონკურსის „მუზა“ დაჯილდოების ცერემონიალზე ირაკლი კაკაბაძემ კულტურის მინისტრს ურჩია, თავი დაანებოს ხელოვანებს, მათ შორის, დავით დოიაშვილს. პოეტმა დაჯილდოების ცერემონიალი პროტესტის ნიშნად დატოვა.

მომხდართან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება კულტურის სამინისტრომ გაავრცელა:

– ვინაიდან სოციალური ქსელებით ვრცელდება ინციდენტის ამსახველი ვიდეო, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო განმარტავს, რომ ირაკლი კაკაბაძემ, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ჟიურიმ მას ლიტერატურული პრემია „მუზა“ არ მიანიჭა ნომინაციაში „წლის საუკეთესო პიესა/ინსცენირება“, სკანდალის მოწყობა სცადა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია მინისტრი და სხვა პირები. სამინისტრო წუხილს გამოთქვამს იმ უხერხულობის გამო, რომელიც, შესაძლოა, ირაკლი კაკაბაძის ქცევამ შეუქმნა შეკრებილ საზოგადოებას.

ზოთა იათაშვილი, პოეტი:

– ტიპი წულუკიანის ხელის ბიჭი იყო მას შემდეგ, რაც ის მინისტრად მოვიდა, ახლაც ბოიკოტში მყოფი მწერლების მხარეს კი არ დადგა, სამინისტროს დაარსებულ „მუზაში“ მიიღო მონაწილეობა, გამოპრანჭული მიბრძანდა, რომ პრემია ჩაეხუტებინა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ „ღვაწლს“ დაუფასებდნენ (მით უმეტეს, სულ ორნი იყვნენ შორტ-ლისტში), და რომ გაიგო, რომ „გადააგდეს“, თავისი საფირმო ცუნდრუკი თუ დებოში ატეხა და სულმოკლეობის ამ მწვერვალს მეორე ბანაკში მყოფნი ახლა გმირობად რაცხავენ, ამ სამარცხვინო საქციელის მაჩვენებელ კადრებს დიდი სიხარულით ავრცელებენ მხოლოდ იმიტომ, რომ პრემიის გარეშე დარჩენილმა არსებამ თავი ვერ მოთოკა და დედა-მარჩენალს დაუყვირა.

არ შეიძლება ასე, მეგობარო მწერლებო, ნუ დაგაკარგვინებთ ბოლომდე ობიექტურობას არსებული სიტუაცია, სამაგალითო საქციელად ნუ გამოაცხადებთ იმას, რაც ყველანაირი ადამიანური გაგებით მხოლოდ სულმდაბლობაა და მეტი არაფერი. ისე ნუ მოიქცევით, რომ თქვენს გვერდით დგომა გამიტყდეს და ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მეორე ბანაკმა ცაში აიტაცოს ეს ნაწერი თავისი სიმართლის და კეთილშობილების დასადასტურებლად. ძალიან გთხოვთ, ნუ იზამთ ამას, თქვენი გულის გასახარად არ გამიკეთებია ეს. ვისაც მივმართავ, იმიტომ მივმართავ, რომ ბოლომდე არ დაბრმავდეს და ბოღმისგან გონებაწართმეული სულმდაბალ ადამიანს არ ჩაეხუტოს. არ დაიწყოთ ახლა, თვალი აეხილა და იმიტომ გალანძღაო. აბა მიეცათ პრემია, როგორ სამადლობელ სიტყვას იტყოდა, წარმოიდგინეთ ერთი წამით. ესაა სულ, რისი თქმაც მინდოდა და ვიცი, დაიწყება ახლა დამუნათებები და იარლიყის მოკერებები. შეიკავეთ თავი და ცოტა ღრმად ჩაუფიქრდით იმას, რაც ვთქვი. ომსაც თავისი წესები აქვს.

მასტერი დარწმუნებულია, რომ ნანი ბრეგვაძე შეცდომაში შეიყვანეს

რეპერი მასტერი – გიორგი პავლიაშვილი დარწმუნებულია, რომ ნანი ბრეგვაძე შეცდომაში შეიყვანეს და არ აუხსნეს, რას ნიშნავს „თბილისი პრაიდის“ მიერ დაგეგმილი ღონისძიება, რომელიც 29 დეკემბერს გაიხსნება. მის გახსნაზე სწორედ ნანი ბრეგვაძე იმღერებს:

– ხუმრობენ ხო? თუ არ ხუმრობენ, დარწმუნებული ვარ, უბრალოდ, არ აუხსნეს რეალური სიტუაცია და მსგავსად შეიძლება ნებისმიერი ადამიანი შევიდეს შეცდომაში, ვინც არ იცის ამ „შეკრების“ მნიშვნელობა.

მასტერის ამ განცხადებას მომღერალი **ნინი ნუცუბიძე** გამოეხმაურა:

– მასტერ, გამარჯობა, ცოტა მეთანაღრება თქვენთან პოლემიკაში შემოვარდნა, მაგრამ საჯაროდ მინდა მოგილოცოთ და მოგახსენოთ, რომ პიროვნულად და პროფესიულად შეუმდგარი ადამიანი ხართ. მადლობა.

მასტერი:

– მეც საჯაროდ გპასუხობ, რომ ნიჭიერი მომღერალი ხარ, სხვა შენს პიროვნებაზე არაფერი ვიცი. დანარჩენს დრო იტყვის.

მაია დარსველიძე:

– აუ, მასტერს ვინმემ აუხსენით, ფლიზ, რომ ნანიმდე ვერასოდეს ვერც თანამედროვეობით, ვერც ადეკვატურობით, ვერც ადამიანობით და ასე შემდეგ, ვერც ერთ კონტექსტში ვერ მივა და რეპოს ისევ ის თავის შავბნელმავნებლური სადღეგრძელოები. ხო, არ შემიძლია ეს „კოლეგიალური“ გასუსულობა და სხვებმა ენა რომ ჩაყლაპეთ, სწორედ ასე უწყობთ ხელს ამ უსასრულო მავნებლობას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. უძველესი ქართული ცეკვა, სრულდებოდა ახალი წლის პირველ დღეს; 2. მდინარე პარიზში; 3. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი; 4. ცნობილი ნიდერლანდელი ფეხბურთელი; 6. ბროწეულისგან მომზადებული საწებელი; 9. ზღვისგან მოწყვეტილი წყლის სივრცე; 13. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 14. პირველი ქართული წიგნის შემდგენელი და გამომცემელი იტალიელი მესტამბე; 15. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 17. ქეიფი, დროსტარება; 18. ბარიტის საბადო რაჭაში; 20. ტოკიოს ძველი სახელწოდება.

თარაზულად: 1. მაბეზღარა, ჯაშუში; 5. ბნელი, უმთვარო ღამე; 7. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 8. მხატვრული ფილმის „დაკარგული სამოთხის“ რეჟისორი; 10. წვნიანი კერძი; 11. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 12. თოკზე ასხმული ყურძნის მტევნები; 16. მუსლიმთა საერთო სახელწოდება ძველად; 17. ფირმა „ფიატის“ მცირელიტრაჟიანი, მსუბუქი ავტომობილი; 19. სვლა ჭადრაკში; 21. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 22. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი, დიდოსტატი; 23. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 24. გია დანელიას კინოკომედია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა